

2848

2

ბერ გამური. ხაზის გამური № 150.

ალი

მოთხოვთა

6030 ლოგოტიპისა



მეოთხე კამიუკუმა

თბილისი

სტამბა ვ. ა. რუს. ძის, გამარტინის შესახ., №
1918



(114
5.)

899.962.1-

— კლი —

კლი 7
მოთხოვბა


ნიზა ლომოურისა



სტამბა პ. ა. რესადრსა, გაბაშვილის შესახვევი, № 1
1918



ნიკოლოზ ბოსების ძე ლომოური



ნიკოლოზ ლომაშენი

დაიბადა 1853 წ. სოფ. არბოში (ქართლში), სა-
დაც მამა მისი იყო მღვდლათ. პირველ დაწყებითი
სწავლა მიიღო გორის სასულიერო სასწავლებელში,
რქიდან თფილისის სასულიერო სემინარიაში გადავიდა,
ხოლო აქ. კურსის გათავების შემდეგ კიუვის აკადემიაში
შევიდა, სადაც 1880 წ. ჩინქებულად დაამთავრა სწავლა.
ამის შემდეგ ნიკო თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის
ინსპექტორად მიიწვიეს. აქ ნიკო სამ წელიწადს დარჩა.
შემდეგ მან მიიღო ქართული ენის მასწავლებლობა
გორის საოსტატო სემინარიაში, სადაც სიკვდილამდე
მსახურებდა. ქართულ ენას ასწავლიდა აგრეთვე გორის
საქალებო გიმნაზიაში. გარდაიცვალა ქალაქ გორში
17 აპრილს 1915 წ.

ნ. ლომოური სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1881 წ.
და გულმოდგინედ ემსახურებოდა სამშობლო ლიტერა-
ტურას. ნიკომ ლექსებით დაიწყო წერა, მაგ. ვინ არ
იცის მისი ლექსი „ყინჯა“ და პატარა მოწაფე“, მაგრამ
მალე გადავიდა მოთხოვნების წერაზე. ყრთ საუკეთესო
მოთხოვნათ ითვლება იმისი „ქაჯანა“.

აღი

ამბავი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან.

I

ემს პატარა ბიჭობაში, როდესაც, შოლტის ხმარება კი არა, სახრის ხეირიანად მოქნევაც არ ვიცოდი, — მახსოვს — მქონდა ერთი გულითადი სურვილი, ნატვრა: მე მინდოდა, მენატრებოდა ტყის ნახვა! ვისაც კი ამ ჩემს სურვილს გამოუკხადებდი, ყველანი ხარხარს მოჰყვებოდნენ ხოლმე და დაცინვით და გაოცებით მეუბნებოდნენ; „ბიჭო და, რა ხაზინები დაგიგულებია ტყეში, ან რა მარგალიტის თვლები დაგითხსია შენ იქა, რომ აგრე გენატრება მისი ნახვა?“ ხაზინები!.. მარგალიტის თვალები!.. მაშინ არც კი მესმოდა, თუ რას ნიშნავდნენ ეს სიტყვები. ‚ემი სურვილი ამგვარ მადუაფუარდებიდამ არ მოშდინარეობდა. ზამთარში თუ ზაფხულში, როდესაც კი ჩემი მამა ბიძები ტყიდამ შინ დაბრუნდებოდნენ, უსათუოდ რამე უნდა მოეტანათ ჩემთვის. ხან მომიტანდნენ გვრიტის ლამაზ კვერცხებს ან აგვრიტის ბარტყებს; ხან მომიუვანდნენ პაწწინა ჩიტებს, მწყრებს, კურდლის ბაქისთ—დასხე. ხან კიდევ მოჰყონდათ ლამაზად დაკროლილი გულავსე თხილი, მოწითალო წვრილი წყებლები, რომლებითაც მე პატარა

ლასტებს ვწნავდი და ვუგებდი ფაცრებს ჩვენი
მდინარის პაწაწკინტელა ტოტებში. ყოველ
გაზაფხულზე ცველა ამას მშვენივრად გაკეთე-
ბული და მომართული ასკილის სტვირიც ემა-
ტებოდა. ამ დროს ჩემს თავს მე სრულ ბედ-
ნიერადა ვგრძნობდი, ყველა ესენი რომ ავი-
ლოთ, შევაჯგუფოთ ერთად და მივაქციოთ ყუ-
რადლება მათ გავლენას იმისთანა პატარა სიმო-
ნაზე, როგორც მე მაშინ გახლდათ, განა სა-
საცილო და გასაოცარი იქნებოდა რაშე ჩემს
ნატვრაში? მაშინ, რასაკვირველია,. ამ გვარ
კითხვას ვერც მოვახერხებდი და ვერც გავტე-
დავდი მის წარმოთქმას; მაგრამ იმას კი კარგად
ვგრძნობდი, რომ ჩემი დარბაისელი დამცინა-
რი ვერ მექცეოდნენ სამართლიანად და კა-
რგად. ნაცვლად ჩემი უბრალო სურვილის და-
კმაყოფილებისა, ისინი, როგორც ზემოდ მო-
გახსენეთ, გაოცებით დამცინოდნენ და ეგო-
ნათ, რომ აზგარის მოქცევით გააქრობდნენ
ჩემში ამ სურვილს! რასაკვირველია, სულუტ-
დნენ .. გაქრობის შეგივრად მათმა მოქმედებამ
ეს სურვილი გამიცხოვლა და ბოლოს ნატვრად
გადამიქცია. ამ ნატვრამ სულ მთლად მოიცვა
ჩემი არსება. ბევრჯელ თვით მხიარულ მღვრ-
მარეობის დროს მომაგონდებოდა ტყე, ჩემი ნა-
ტვრა, და ეს მხიარულება წამს სულ მთლად
ჩაიფუშებოდა ხოლმე. ერთხელ გადამჯდარი
ჯონის რაშედ, შემოხვეული ჩემი ტოლი ბი-
ჭებით, მე დავქროლავდი ჩვენს მოედანზედ. ა
ამ დროს უცებ მომაგონდა ტყე; ვანებე ჩემს

ამხანაგებს თავი და, ვითომც აქ არაფერი ამბავი იყო, ჰენებით გამოვწეო სოფლისაკენ. შეგ შუა ლოფელში აქამძმდე დგას ლვთის მშობლის დანგრეული ექლესია. ამ ნანგრევისაკენ მივგართ ჩემი გზა. რამ მაფიქრებინა ესა, სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცი, ის კი კარგად მახსოვს, რომ მე შევედი ამ ნანგრევში, მივედი ლვთის-მშობლის ხატთან, დავიჩოქე და ვიწყე გულ-მტურვალედ ლოცვა: შევსოხოვდი, რომ მას მაინც აღესრულებინა ჩემი ნატერა ..

— ბიჭო, სიმონა, შენა? რას მაიმუნობ, შე წუწუო, შენა! მომესმა ჯურებ უკანიდამ. მე მაშინვე ვიცანი ჩემი ბებერი დიდი-დედას ხმა. წამოვხტი ფეხზე და ფაცხა ფუტხით დავეშვი ორლობისაკენ. ასე მეგონა, ერთი რამ საშინელი, სასაცრლო საქმე ვქმენი მეთქი... და მრცხვენოდა, მრცხვენოდა ისე, რომ გადავ-წყვიტე ვახშმობამდინ შინ არ შევსულიყავ. მართლაცა და კარგა ხშირ. პინდი იყო დედა-მიწაზე დაცემული, როდესაც მე ჩვენი ბაკის კარები შევაჭრიალე და ჩუმი ნაბიჯით გავწიე დარბაზის დერეფნისაკენ. მე პინდოდა შემეტყო, იყო შინ ბებია ჩემი, თუ არა? ან თუ იყო, ლაპარაკობდა რასმეს ჩემზე, თუ კიდეც ელაპარაკნა. ამისათვის მივედი და ავიტუზე კარებთან, დაუგდე ყური, მომესმა ჩვენი აზნაურა დიაკვნის, ზაქარიას, ხშა.

— მერწმუნე, გიორგი, — ეუბნებოდა ის მამა ჩემს: — მერწმუნე, რომ ესე საყდრის ახლო ცხოვრება შენთვის და შენი ოჯახისათვის არ

არის კარგი! მუდამ ლვთის კალთის ქვეშა ხარ; მუდამ ყოველ შენს საქმეს ზედ დასკერის დიდი მთავარ-მოწამე გიორგი.

— ვენაცვალე იმის მაღლასა და სახელსა! გააწყვეტინა მამა ჩემმა, — დაგვცეიროს! ლმერთმა ხო იცის, რომ ჩემ ოჯახში კაცი არავის მოუკლავს და ნაქურდალი არავის შემოუტანია!

— ჰეი, გიორგი, გიორგი, — დაიწყო კვალად დიაკვანმა — ლვთისა წინაშე ვინ არის მართალ? შენ იქნება ამ ცოლდე შენი და შენი ოჯახის შეცოლებანი; ყოველივე ესე კი წინაშე ლვთისა ცხად არს! ამისათვის გირჩევ, რომ აიყარო აქედამ და აი შენ საბძელთან გადასახლდე...

მამა ჩემმა ამაზე რაღაც უთხრა, მაგრამ ვერ გავიგონე; სჩანდა კია, რომ რაღაც გაჯავრებულად უთხრა ჩენენს ეშმაკ და მაცლურ დიაკვანს. დიაკვანი ამის შემდეგ წამოიბარგა და გამოსწია გარედ; გამომიარა გვერდზე და ცულლუტურის ბუტბუტით გავიდა ჩვენი სახლიდამ. ამის გამოსვლის შემდეგ შევიცადე ცოტა ხანს კიდევ და შემდეგ შევალე კარი და შევედი სახლში. აქ იყვნენ სულ ყველანი: ბებია ჩემი, მამა ჩემი, დედა და სამი; ჯერ ახალ გაზღა, უცოლ-შვილო ბიძები. წინაპირველად ამათ თითქო ვერ დამინახეს... თავისუფლად ჩაუარე კერას გვერდი და დედა ჩემს ამოუჯექ მუხლის ძირში.

— ჩვენო ბერო, ჩვენო ბერო! აცხონე სული თუ არა? დაიძახა უცებ სიცილით უნცროს. მა ბიძამ...

— ბერო, ბერო! აბა ერთი გვითხარი, რას
ლოცულობდი დაიწყეს აქეთ იქითამ კვირილი.
ამას მოჰყვა საზოგადო სიცილი. მე ჩაუდე
დედა ჩემს კალთაში თავი და გავინაბე.

— რას მიჰქარამთ ერთი ლოცვა რა დასა-
ცინია! მოისმა მამი ჩემის ხმა. ამ ხმამ ცოტა
არ იყოს გამათამამა: თავი ავიღე მალლა.

— აბა, გენაცვალე, შვილო, მითხარი, რას
ეხვეწებოდი წელან ლცთის-მშობელსა?.. მოვიდა
ჩემთან და დაყვავებით მითხრა ჩებია ჩემმა.

ამ დაყვავებამ უფრო გამათამამა; მაგრამ
პასუხის მიცემას მაინც მაგრე რიგათ არა ვჩეა-
რობდი.

— ვეხვეწებოდი: -- ლმერთო და წმიდა გიო-
რგო, ტყე მაჩვენე. მეთქი .. ვსთქვი დაბალის
ხმით შემდეგ ცოტაოდენის სიჩუმისა.

ამ სიტყვებმა ხელმეორედ აღძრა მთელ ჩენს
დიდ დარბაზში ერთი საშინელი სიცილი და
ხარხარი.

— ბიქო და რა სანახავია ტყე, რო ეგრე
გენატრება იმისი ნახვა? მითხრა სიცილით უფ-
როსმა ბიძამ.

— შე რა გინდა! ოლონც-კი ერთი ტყეში
წამიუვანეთ და, ლმერთმანი, სულ მე მოვუ-
დგები ხარებს, — მიუგე მე.

— კარგი, შვილო, კარგი! აი ამ ორ დღე-
ში ფიჩისთვის მოგვიხდება ტყეში წასვლა და
შენც მაშინ თან წაგირებან, — დამპირდა მაძა
ჩემი.

— წაიყვან კი არა და აი-ის არ უნდა! — წა-

მოიძახა დედა ჩემმა!.. — ეგები აიქ ურმიდგან გადმოგივარდეთ სადმე... ნუ, შვილო, ნუ წა ჰყვები .. იქ ისეთი მგელები და ტურები არიან, რომ მაშინვე შეგვამენ.

— სიმონა, დაიძახა ახლა ბებია ჩემმა, — არ წახვიდე შვილო, თორე ტყეში ალი დაგხვდება, წაგიჭერს ყელში ხელს და დაგახრჩობს.

— ალი პატარა გოგო არ არი?... ი როგორ მოზერევა მერე!.. ვსოთქვი მე.

— ალი, ბიჭო, პატარა გოგო კი არ არი, — დაურთო შუათანა ბიძამ: ალი ეშმაკების დედა-კაკია... ისეთი ლამაზია, ისეთი რომ მზეთ უნახავსა ჰყავს. მშვენიერი წაბლის ფერი დალალები აყრია ზურგზედა... ჩაჯდება ხოლმე ტყის წყლებში, გაიშლის თმასა, დაისველებს წყლითა და ოქროს სავარცხელით დაიწყებს ხოლმე ბარკნასა. თუ ამ დროს აჟამარს თვალი შეასწრო, მაშინვე წამზატება, ეცემა და დაახრჩობს.

— ი წყეული ძაან ლონიერია თუ ჩმე, დაუზატა უნცროსმა ბიძამ.

ამის შემდეგ გააძეს ალზე ლაპარაკი და თითო რამე ალის ამბავი თითქმის ყველამა სთქვა.. სიცილი, ხუმრობა ამ დროს სრულიად გაჰქრა. მათი ალაგი ხშირმა პირჯვრის წერამ და წმიდის გიორგის სახელის მოწოდებამ დაიჭირა. ხალხი არა ხუმრობდა! ამან ძალიან, ძალიან შემაფრინიანა, ვეღრც ვახ შამი ვქვემე ხეირიანადა და მთელი ლამეც მაშლის ყივილამდე არ დამძინებია, ვფაქრობდი ალზე:

თვალ-წინ მეხატებოდა ტყე, ამის შუა ალაგას ვითომე მოჩანდა პატარა, ანკარა, მოჩქრიიალე მდინარე, რომელშიაც, ერთს მოფარებულ ალაგას, დიდ თმა გაშლილი რჯდა მშვენიერი მზეთ-უნახავი ქალი—ალი. ალი თავის უუფრუნა შავი თვალებით იცქირება აქეთ-იქით. უნდა დაინახოს ვინმე ადამიანი, მივარდეს და და-აახრჩოს... ამგვარი წარმოდგენანი მეხვეოდნენ გარშემო მთელი ის ლამე. პარველ მამლის ყი-ვილის შემდეგ ჩამდინა, მაგრამ ვაი ამ ჩაძინებას! სიზმარში ვნახე ალი და გულ-გახეთქილმა გავაპყიტე თვალები. ტყე და ალი ახლა ერთმა-ნეთთან მკვიდრად შეთვისებულ საგნათ გარ-დაიქცნენ ჩემთვის. ერთის ნეხვა შენატრებოდა, მეორესი მეშინოდა. . როგორ ავცდე ამ უკა-ნასკნელს ისე, რომ მხოლოდ პირველი ვნა-ხო,— აი ჩემი მაშინდელი ფრქრების საგანი! თუმცა ბევრ ნაირად გავწიო და გამოვწიო ეს საგანი, ბევრი ვიბურბულე ამის შესახებ, მაგ-რამ ერთმანეთზე მაგრა მიკრული ტყე და ალი მაინც ვერ მოვაშორე ერთმანეთს. ბოლოს მაინც ისევ ტყემ აჯობა ალსა! გადავწყვისტე, წა-ვალ ტყეში, მაგრამ ჩემს მ მა-ბიძათ ერთს ნა-ბიჯზედაც არ მოვშორდები მეთქი. ამ გარდა წყვეტილებით ავდექი დილით. თუმცა ცოტა თავიც მტკიოდა და უხეიროდაც მაზმორებდა, მაგრამ მაინც ხმა არ ამომიღა ამაზედ. გაჩუ-მებული ვუცდიდი იმ დღეს, როდესაც ჩემი მა-მა-ბიძანი ფიჩისთვის ტყეში უნდა წასული-ყვნენ.

II

Sმ დღემაც დიდ ხანს არ მალოდინა. ორი დღის შემდეგ, სალამო უამზე, მამა ჩემმა გამოიტანა შინიდამ ცული და საძნე ურემს დაუწყო მართვა. ცოტა ხანს უკან ჩემმა ორმა ბიძამ ბაჟის კარებთან ერთი სხვა ურემიც მოაგორეს. ულლებს, აპე ურებს და ტაბიუებს დაუწყეს ძებნა და გამართვა. აქედამ ცხადადა სჩანლა, რომ ესენი ხვალ ტყეში წასვლას აპირებდნენ. მამა ჩემს ღრეულობ მოვაგონე იმდღევანდელი დაპირება... მან ხელმეორედ განიმეორა თავისი ალტენა. მე მაინც მთლად არ ვენდე ამ დაპირებას: იმ ლამეს უნცროს ბიძასთან კარზე ძარ ჭვეშ დავწერი, რომ უფრო კარგათ მეყარაულა ტყეში მიმავალთათვის. მეორე დღეს, ჯერ მზეც არ იყო ამოსული, რომ მე თვალებ დაჭყეტილი ვიწერი ლოფინში და გავცეკროდი კონკილებზე შეყენებულ ურმებს. აგერ მორეკეს საქონელიც და ურმებში დაუწყეს შებმა. მე მსწრაფლად წამოვხტი, გადავიცვი ჩიხა, ჩავიცვი ქალამნები და წინ მივეგებე მამა ჩემს, როდესაც ის კალთაში პურებ გამოხვეული გამოდიოდა შინიდამ.

— წამოდი შვილო, წამოდო... მოთხრა მამა ჩემმა... და გასწია შებმულ ურმებისაკენ.

სიხარულით და ხტუნაობით გამოუდექი უკან. ტყეში მოდიოდნენ სამნი: ორი უფროსი ბიძა და მამა ჩემი. ამ უკანასკნელმა დამისვა თავის ურმის თავზე, თვითონ მოუდგა ურემს

გვერდზედა და დავძარით ნელ-ნელა ურმები. მუშის საღილობის დრო იქნებოდა, როდესაც ჩვენ ტყეში შევედით. მართალია, ტყე ისეთი არ მეჩვენა, როგორიც წარმოდგენილი მქონდა, მაგრამ აქაურმა სიგრილემ, შემდეგ ტრიალ, გახურებულ მინდვრის სიცხისა, მრავალმა დიდმა ხეებმა, მათ ფოთოლთა რაღაც საიდუმლო შრიალმა, ათასნაირ ფრინველთა სხვა-და სხვა გვარმა ჭიკჭიკ-გალობამ და კიდევ ბევრმა სხვა რაღაებმაც ისეთ ნაირად იმოქმედეს ჩემზე, რომ ცოტა ხნობით ალიც კი დამავიწყდა. გახარე-ბული გადმოვხტი დაყუნებული ურმიდან და მხიარულად გავქანდი თხილის ბუჩქისაკენ, რო-მელზეჯაც კუნწულ-კუნწულად იყო დახუნ-ძლული თხილი. ამ ბუჩქიდან სხვა ამგვარივე ბუჩქი დავინახე; აქედან ჩიტის ბუდიანი ბუჩქი; იქითკენ ლამაზი სწორე სასახრე ითნის ყლორ-ტი... ამ გვარიდ, ჩემთვის სრულიად შეუნიშ-ნავად, გადავდიოდი ერთი ალაგიდან მეორეზე. და ამასთანავე უფრო და უფრო ვშორდებოდი ჩემს მამა-ბიძათ. ამ გვარი ჩემი დაშორება ვი-გრძენი მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთს პაწაწა მოჩქრიალე მდინარეს წავადექ. ამის დანახვამ რაღაცა თავ-ზარი დამტა. კარგა ხანს გამო-ურკვეველ შიშის მეტს ვერაფერს ვგრძნობდი. შემდეგ ამ არეულმა მდგომარეობამ ნელ-ნელა იწყო გამორკვევა. ჩემს თავში არეულ საგანთა წარმოდგენათ იწყეს ერთმანეთიდან განცალ-კევება... ცალკევდებოდნენ თითქო მისთვის, რომ სამუდამოდ მოშორებოდნენ ჩემს მოსაზ-

რებას. სათითაოდ და ნელ-ნელა იწყეს მათ
გაქრობა და ჰქონდოლნენ, სანამ ეს საქმე ჩემთვის
სასიამოვნო და საშიშარ ორ საგანზე ან შეს-
დგა. აქ მთლად გამოფტიზლებულ გონებას
ცხადად წარმოუდგნენ ერთის მხრივ ტყე და
მეორეს მხრივ — ალი. „ვაიმე, დედავ! ეს რა
მომივიდა!“ წავიბუტბუტე კანკალით და სულ-
გაკმენდილ მა მივიხედ მოვიხედე... სამის მხრივ
მე მეხვია თხელისა და ძეგვის ერთმანეთზე გა-
დაბმული ბუჩქეპი... მაღლიდაშ დამცეკროლნენ
უზარ მაზარი მუხის ტოტები... ისეორ გაშტე-
რებულნი მეჩვენნენ ეს ტოტები, რომ მათი
ფოთლების შრიალიც-კი არ მესმოდა. ფრინ-
ვლებსაც ამ დროს თითქო ყველას ენა ჩავარ-
დნოდა... მათი ხშა კი არა, ფრენაც კი არ
ისმოდა. რაღაც შესაზარავი. სამარისებული სი-
ჩუმე იდგა ჩემს გარშემო! დავუგდე ყური ჩემს
მამა ბიძათ; ვერცა-რა იმათი ხმაურობა გავი-
გონე; მხოლოდ ხანდისხან, თითქო, შორს
საიდგანლაც, ცულების კაკა-კუკი გაისმოდა
ხოლმე... სხვა არაფერი. „შუშრიიი“, მომესმა
უცებ წყლიდამ, ცახცახით გავხედე მდინარეს
და მომეკვეთა მუხლები: შიგ შუა წყალში მე
დავრახე ალი, რომელსაც გაეწერა თმა და
დინჯად ივარცხნიდა მას ოქროს სავარცხლით...
ამის შემდეგ მე აღარა მახსოვეს-რა. როგორ
გამოვტრიალდი უკან, როგორ შევძელი ურ-
მებთან ირჩენა და როგორ დავრძები: „მიშვე-
ლეთ, ალი“ — ჩემით მე არა ვიცი რა, მახსოვს
მხოლოდ მამი ჩემის სიტყვები...

— სიმონა, შვილო, სიმონა, — ჩამომძახოւდა ის ყურში, — როდესაც, თურმე ცოტა მრავსულიერდი; — მითხარი, შვილო, მითხარი: აბა სად არი ალი?

— პატარა წყალში, აი იქათა; თავის გვერდზე მიღებით წამოვილულულე.

— აბა, ბიჭებო, დაუძახა თავისს ქებს მამა ჩემმა, — ცულები აიღეთ ხელში და ჩქარა გავიქცეთ... ეგები მოვასწროთ ი წყეულსა და ჩავჩეხოთ წყალში.

აქ ყველანი წამოცვიდნენ ფეხზე და მოღურებული ცულებით გაექანენ იქათ, საიდამაც მე მოვრბოდი. მე მამა ჩემს ვეკირე ხელში. აგრე, ჩემი ბიძები ყვირილითა და კიუინით მისცვივდნენ მღინარის ნაპირას! აგრე მივედით ჩვენცა, მივედით და დავდექით სწორედ იმ ალაგას, საიდამაც მე ალი დავინახე.

— აბა, სიმონა, სად იყო ალი, სად? დამიძახეს ბიძებმა.

მე გავიხედე ალასაკენ, მაგრამ იქ ალი ვეღარ დავინახე; მის ნაცვლად სწორედ მის ალაგას ეხლა წყლიდამ ამიჩანდა ყვითელ ხავს მოკიდებული მუხის დიდი კუნძი.

— ე მაგ კუნძზე იჯდა, მგონია, — ვსთქვი მე ცოტა ყოყმობით.

— ეე! შვილოსან, სთქვა მამა ჩემმა, — ჩუმათ უნდა მოვსულიყავით... მოგვეკრა თმა და მაშინ რაც გვინდოდა, იმას ვუზამდით... მაგრამ, მაინც ეს კუნძი ცუდად არი ამოყუნტული

წყლიდამ... ეს სწორედ აღის თმის სავარცხნი
ალაგი იქნება! აბა, ცულები მაგას.

აქ მამა ჩემმა მე ძირს დამსვა; თვითონ წა-
მავლო ცულს ხელი და გაექანა კუნძისკენ.
მას მიჰყვნენ ბიძა ჩემები... სამთავენი შემო-
უმწკრივდნენ კუნძს გარშემო და გაცხარებით
დაუშინეს ცულები...

— ე კუნძი ცეცხლისთვინაც გამოდგება!
მხიარულად დაიძახა ერთმა ბიძათაგანზა.

უცებ წაიქცა მამა ჩემი. უფროსშა ბიძამ
დახედა თავის ცულს, ცული ტარზე აღარ
იყო... ქნევის ლროს მისი ცული გასხლეტი-
ლიყო ტარილამ და პირით შიგ შუბლში მოხ-
ვედროდა მამა ჩემს.

— შიშველეთ, მიშველეთ! დაიძახა მამა ჩემ-
მა: ბიძა ჩემებმა გაპყარეს ხელიდამ ცულები,
ეცნენ და საჩქაროზე თავ-გახეთჭილი თავის ძმა
ნაპირებამოიტანეს. გატეხილი შუბლიდამ
თჭირიალით გადმოსლიოდა სისხლი; ბიძა ჩემები
სცილობდნენ, რომ როგორმე შეეყენებინათ
ეს სისხლი, მაგრამ მათი შეცადინეობა ლიდანს
ფუჭათა რჩებოდა. ბოლოს ახალუხის მთელმა
კალთამ ძლივ-ძლიობისად შეაყენა სისხლის
დენა.

— ვაიმე, ცოლო და შეილო! სუსტის ხმით
დაიკვნესა მამა ჩემთა,— დამდეთ ჩქარა ურემზე
და წამილეთ შინა.

ტირილითა და ფაი ვაგლახით შევაბით ურ-
ები, დაუდეთ ერთ მათგანზე მამა ჩემი და სა-

ლამოზე, ფიჩების მაგივრად, შინ მკვდარი მამა
მივიტანეთ: შეუ გზაზე დალია საწყალმა სული.
ადვილი წარმოსადგენია, თუ რა წიოკუბა
გაჩნდებოდა ჩვენს ოჯახში ამ უეცარი და სა-
შინელი ანბის დანახვით! მთელი ჩვენი სოუე-
ლი ფეხზედ დადგა. საკირველიც არ არის! ეს
სიკვდილი ასე უეცარიც რომ არა ყოფილუყო,
მამა ჩემი მაინც ისეთი გულკეთილი და საწყა-
ლის შემბრალებელი კაცი იყო, რომ მთელი
ჩვენი სოფელი მას პატივისცემით და სიკვარუ-
ლით უცქეროდა. მე მ'კვირვებდა მხოლოდ
ხალხის ლაპარაკი ამ სიკვდილის მიზნზე...
ამაზე ყველანი ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ...
ამბობდნენ, ვითომც მამა ჩემი პირიანი კაცი
სროლით ალს მოეკლას. ამ ხმამ ცოტა არ
გვაწვალა! ჩვენი მღვდელი, მაგ., მარტინი
ქრისტიანულად დამარხებას არა სჩაღიოდა...
საგან არის მკვდარიო. სინამ ერთი უძრავი
ქალალი არ აგვაკრა, გვერდზედაც მოგეი-
დგა. დამარხების შემდეგ ამ ხმას ბლადოჩენა-
მდისინაც მიეხწ ია... ახლა ის ჩამოგდეხცა სახ-
ლში და დაგვიწყო მუქარა: სუსველს ციმჭი-
რში გაგაგზავნინ ებთო და გვემუქრებოდა, სანამ
ამასაც ერთი თუმანი არ მიევეცით. პატივცემულ
სულიერ მამათა ლაპარაკისა და ჯავრობისა მე
მაშინ სრულად არა მესმოდა რა ვერ წამო-
მედგინა, თუ რას დძიებულენ ივინი. ამისათვის,
მიკვირდა და გაუყითა უცემისა უკავი მხოლოდ
ყველა ამ ზემოდ წილისა ჩაებით: და ლაპარა-
კის მიხეზით. რა გვისა და რა ჩემი აღმა რო-

დის მოჰკლა? ვეკითხებოდი ჩემ გულში ჩემ
თავს და ზედვე მივადევნები ხოლმე ნამდვილ
პასუხს:

— აღმა კი არა, მამა ჩემი ბიძა ჩემმა მო-
ჰკლა!..

III

 ავმარხეთ მამა ჩემი, მაგრამ ამის შემ-
დევაც არ ჩამოგვეხსნა ის წყეული
ალი. ჯერ სასაფლაოზე ქნახათ ის ვი-
ლაცა მგზავრებს. შემდეგ გავარდა
ხმა—ვითომც მამა ჩემი აღს ამოელოს საფლა-
ვიდან და წაელოს ტყეში. ეს ამბები ჩვენ შე-
გვატვობინა ზაქარია დიაკვანმა და გვირჩია,
რომ მიცვალებულის სულისთვის გვეწირვინე-
ბინა, საფლავი გვეკურხებინა და შემდეგ სა-
ზოგადო წირვა გადაგვეხადა. ყველა ესენი სრუ-
ლიად აღსრულება, ჩვენებმა: მაგრამ ვარ ამ აღ-
სრულებას! ამან საშინელი დალი დაასვა მთლად
ჩვენს ოჯახსა და მის მომავალ ბედს. აქამო-
მდე უვალო ოჯახს ამ წირვებასა და კურთხე-
ვის მეოხებით ათ თუმანზე შეწი ვალი დაგვე-
დო. ეს ვალი შემდევ გადიდდა, გარდაიქცა
ორმოცათ, სამოც თუმნათ. გავხდით ჩვენ დე-
და ბუდიანად ერთი ურისს მონებათ და ყმებათ.
მაგრამ ყველა ეს შემდეგ მოხდა; აწმუო ჩვენი
უბედურება კი იმაში მდგომარეობდა, რომ
თუმცა ეს ფული დავხარჯეთ და ყველა ნათქვა-
მი აღვასრულეთ, მაგრამ აღი მანც თავიდან
ვერ მოვიშორეთ. სასაფლაოდაც შემდეგ თვით

სახლში გვეწვია ის. ერთ ლამეს ყველას ტკბილად გვეძინა. წარსული მწუხარებით და შრომით დალლილ-დაქანცულნი, ჩვენ, ცოტა არ იყო, იმედიანად დაუწყეთ მომავალს ცქერა. მაგრამ იმ ლამეს სხვა ვაი-ვაგლახი მოელოდა ჩვენ სახლსა. გათენება მოტანებული იქნებოდა, როდესაც შეუა ბანიდამ ერთი ვეებერთელა ქვა ჩამოვარდა დარბაზში და რახა-რუხით დაეცა საკიდელას და კერას. ჩვენ ყველანი წამოვცვივდით ფეხზე.

— ვინა ხერ, ვინა, შე ოჯახ და სახლუკარ დაქცეულო? შესძახა ქვემოდამ ერთმა ჩემმა ბრძათაგანმა.

— მე ვარ ალი, გამოგზავნილი წმიდის გიორგისაგან... აიყარენით, აიყარენით, თორეგმულ ერთიანად ამოგხოცავთ გარჩევით და ქალურის ხმით მოისმა მაღლიდამ.

ამ სიტყვებმა ყველას შიშის ზარი დასკა. ყველამ ფიცით აღვიარა, რომ უსათუოდ და უსათუოდ ავიყრებით აქედამაო. მეორე დღეს, სანამ რომელიმე ჩვენგანი კარზე გავიდოდა, ეს შემთხვევა თურმე მოელმა ჩვენმა სოფელმა იცოდა კიდევც. გაჩნდა სოფელში ერთი საშინელი ჭორიკანაობა.

— გენაცვალე, ქალო, იძახოდა ერთი, მაგ საწყალ არაშენდაანთ ალი ახლა სახლში მის-ჭრომაათ, ბანიდამ ერთი ვეებერთელა ქვა ჩაუხლია და დაუძახია: სულ ყველას დაგახრჩობთ და ცეცხლს წაგიკიდებთ, თუ აქედგან არ აიყარენითო.

— ქაა ლა, ეგ კიდევ რა არის იმასთან, რასაც სხვები ლაპარაკობენ, მისძახოდა მას მეორე: თურმე, გენაცვალე, მისულა ალი ლა ი სულ წაწყმედილი ბებერი მაიასთვინ ჩაუ-ძანია: ჩემო ღობილო მაიაო, როგორც აქა მდისინ მეხმარებოდი, მამეხმარე ერთი ეხლა-ცაო: ამომაწყვეტინე ე შენი შვილებიო!

— მერე, გენაცვალე, მერე! ი სულ აყე ფებულს რა ეთქვა?

— არაუერი, ქალო, იჯდა თურმე ენა ჩავარ-დნიუ-ივით და უკულმა პირჯვარს იწერდა.

— უუუი ჩვენ ჩაქოლვასა ტყულად კი არ იძახოდა ჩვენი ღვდელი: არაშენდაანთ მაია კუ-დიანიაო.

— გენაცვალე, და მეტი კუდიანობა გინ-და: ჭიაკოუნობა ღამეს ერთხელაც არა ყო-ფილა შინა...

ბევრი ამ გვარი და ბევრიც ამაზე უარესე-ბი ისჭოდა იმ დღეს ჩვენს სოფელში მთლად ჩვენს ოჯახზე და კერძოდ — ჩემს საწყალ დიდ-დედა მაიაზე. ამ უკანასკნელს ახლო აღარავინ ეკარებოდა, მიმავალი რომ დაენახათ, გარბო-ლნენ იმისგან, როგორც გიუისა, ან საოფლია-ნი ავადმყოფისაგან. ყველა ეს ამბები ჩვენ სა ღამოზე გავიგეთ. უნდა დაგენახათ, როგორი ჭრისუფალივით ტიროდა ამ ღროს საწყალი ჩვენი მოხუცებული. მთელი ის პირველი ღამე მან სულ „ვაი“ სა და „მე ჩაქოლვილის“ ძა-ნილში გაატარა. მეორე დღეს, თუმცა ძველე-

ბურად ადრე ადგა ლოგინიდამ, მაგრამ მალე უკანვე მოუხდა მიბრუნება. დაწვა, მისცა საშინელი სიცხე და იწყო გიფტით როტვა. მთელი დღე სულ როტვაში გააჭარა. სალამოზე კი, ცოტა არ იყო, შესწყვიტა ეს უაზრო ლაპარაკი და შემდეგ კიდევ ჩაეძინა. ვქამეთ ვახშამი და დავწექით ჩვენც. შუალამე იქნებოდა, რომ უცებ ჩვენმა ავადმყოფმა იწყო ერთი გაბმული და შესახარი ხრიალი. წამოვცვივდით ფეხზე და შემოვეხვინით გარშემო ავადმყოფს, ის თვალებ-დაჭყეტილი, გაყვითლებული და გაუშერებული იწვა. შემდეგ ბევრის ყვირილისა, ცივის წყლის სხმისა, ცხვირისა და ყურების სრესისა, ის ცოტაოდენად მობრუნდა.

— რა იყო, დედა, რაი? ჩასახეს აქეთ-იქიდამ.

— ალი, შვილო, ალი... კინალამ დამახრი ი წყეულმა. წამოიკვნესა ბებია ჩემმა.

— სად იყო ი წმინდი გიორგისაგან დაწყევლილი!.. რა უნდა ი შეჩვენებულ ჩვენგან!.. დაიძახა უფროსმა ბიძამ:

ამის შეზღევა აანთეს სამი, თუ ოთხი მკვარი, დაუწყეს ძებნა ალსა: გოდორი, კასრი, თარო, თონე სულ გადმოაბრუნეს და გაჩხრიკეს. მაგრამ ალი იქ ვერსად ვერა ნახესა თუმცა ალი არსად სჩანდა, მაგრამ მაინც ასე გადასწყვიტეს ჩვენებმა:

— ხვალვე უნდა გადავსახლდეთ აქედამ, ხვალვეო!.. ის კი არ იცოდნენ, რომ ხვალ იმისთანა საქმე გამოუჩინდებოდათ, რომელიც

ძალა-უნებურად შეაყენებდა ამ განზრახვის აღსრულებას. მეორე დღეს, სადილობისას, წაილო თქვენი ჭირი ჩვენმა ბებია მარამ. ამ სიკედრლის შემდეგ ხომ სულ მთლად გადაი-რია ჩვენი სოფელი: გარდაცვალებული ისე დავშარხეთ, რომ სამიოდ კაცის მეტი ზედ არა-ვინ მოგვეარებია!..

— გადასახლდით, ხალხო, გადასახლდით აქედამ... გვეძახოდა ყველა, ვინც კი ჩვენთან მოვიდოდა, ან ჩვენგანს ვისმე დაინახავდა.

ჩვენც არა იმათზე ნაკლებ გვინდოდა აქე-დამ გადასახლება, მაგრამ საქმე იმაში ცუკ, რომ სახლისათვის მასალა სრულიად არა გვჟონ-და რა. ღმერთმა უშეველოთ ჩვენებურებს! გაი-გეს თუ არა ჩვენი გადასახლების დაბატქუ-ლებელი მიხეზი, მაშინთვე შეგროვდნენ კომ-ლზე კაცი და თავიანთ ურმებით მოგვიზიდეს ბოძები, თავხეები და ჭერი... შემდეგ გვიშვე-ლეს მათს დაოლასა და გასწორებაზე. ჩვენი საბძლის გვერდზე, ცოტა სოფლის განაპირის, სასაფლაოს გადასწვრივ ამოვთხარეთ მიწა, ჩავსხით ბოძები, დავუწყეთ თავხეები და დაუ-ხურეთ ჭერი; ეს დახურული შიწური გავყავით შუაზე ლასტით: ერთი ნახევარი დავამზადეთ ჩვენთვის, მეორე—საქონლისათვის. შემდეგ ძვე-ლი დარბაზიდამ გადავზიდეთ იქ, რაც კი რამ გვეადა, და გადავყევით მათ ჩვენცა. ლვთის მაღლით გველირსა გადასახლება!..

IV



ათქვამია: „კაცს თუ ბედის ჩარხი ერთ-
ხელ უკულმა დაუტრიალდა, სულ უკულ-
მა იტრიალებსო“. ჩვენც მართლა ასე
მოგვიყიდა. გადავსახლდით, მაგრამ ახალ
და ახალ უბეღურებათ მაინც კიდევ ვერ და-
ვემალენით. ჩვენი გადასახლება მოხდა შემოდ-
გომის დაწლევას. ამ დროს კარგა ლაზათიანად
ციოდა და რავდენიც დღე გადიოდა, იმდენი
უფრო და უფრო ცივდებოდა; სჩანდა რომ ამ
წელს ზამთარი მალე გვეწვეოდა, იქნებოდა
სუსხიანი და, ვინ იცის, ხანგრძლივიც. ჩვენი
ახალი მიწური კი სრულებით არ იყო ამისთვის
მომზადებული. ჩვენ არ გვქონდა არც ალაზი,
არც ფიცრები, და ქვითკარზე ვინდა იუგრებ-
და, რომ ნოტრო ჭიშკელი მიწის კედლები
დაგვეფარა და ამ გვარად აგვეშორებინა მათი
ცუდი გავლენა ჩვენს ჯანმრთელობაზე. ამის
გამო ჩვენს სახლში მულამ ცუდი შეირის სუნიკ
იდგა და საშინლად ციოდა კიდეც... მაგრამ
ყველა ამას წინაპირველად ყურადღებაც არ
მივაქციეთ: ორი თუ სამი კვირა შხარულად
გავატარეთ. ვგონებ, მეოთხე კვირის ერთ სა-
ლამოს ჩემ უნცროს ბიძას გააცივა. იმ ღამეს
საშინელს თავის ტკივილს და სიცხეს უჩიოდა.
მეორე დღეს ლოგინიზამ ველაზ აახწია! უვა-
და კიდევ ერთი დღე და ჩვენს ავადმყოფა
ცხადათ გამოაჩნდა საოფლის ნიშნები. რასა-
კვირველია, ამ ამბავმა ავათ აგვირია თავზე ბა-

ლანი, მაგრამ სასოებას მაინც არა ვკარგავდით.
„რა ვუყოთ! საოფლე, მართალია, ხორველაა
ჩვენი სოფლებისთვის, მაგრამ რაც უნდა იყოს,
ეს მაინც აღამიანური რამეა! ოლონდ ეშმაკე-
ულობა კი ჩამოგვეხსნას, თორემ საოფლეს
როგორ ვერ გაუძლებთ“. ასე ვფიქრობდით
ჩვენა და ვიმშვიდებდით გულსა. ავადმყოფი
უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა... ერთხელ
გულ-დამშვიდებით ვისხედით ყველანი ცეცხლა-
პირას და ჩუმად ვლოლნიდით ვახშამს.

— მიშველეთ, მიშველეთ!.. შეჰყვირა ერთი
შესაზარის ხმით ავადმყოფმა და წამოვარდა ზე-
ზე. ჩვენც წამოვცვივდით ფეხზედა. მაგრამ
სინამ ჩვენ ავადმყოფთან მივიღოდით, იმან
იშვირა ფეხი, გაღმოხტა კერაზე, გაექანა და
შეძვრა თაროს ქვეშ. ჩვენ შემოვეხვიენით გარ-
შემო.

— ბიჭო, ძნაო ალექსი, რა იყო, რაი?
დაუძახა მას უფროსსა ბიძამ.

ამ სიტყვებმა, თითქო, გამოაფხიზლა ავად
მყოფი: ის წამოხტა უცებ ფეხზე და დაიწყო
დინჯათ, ჭკვიანურად:

— მიშველეთ, თქვენი ჭირიმე!.. ალი მახ-
ჩობს, ალი!

ალის ხსენება და ჩვენი ენის ჩავარდნა ერ-
თი იყო! სიტყვა ველარავინ მოახერხა... ისმო-
და მხოლოდ რაღაცა შესაზარი ჩუმი კვნესა,
ყველას სახეზე ცხადად იხატებოდა სიტყვები:
აქაც გადმოვყვა ის წყვული, დავიღუპენით
სულერთიან!..

დიდს ხანს ვიდექით ჩვენ ასე გაშტერებულანი და, ვგონებ, კიდევ დიღხანს დავრჩებოდით ასე, თუ რომ ჩვენს ავალმყოფსავე არ გამოვეყვანეთ ამ მდგომარეობიდამ. იმან ერთი კიდევ შეჰყვირა: „ალი, ალიო“; შემდეგ დაიწყო მუშტების ქნევა, გადახტა ცეცხლზე და გულ გაღელილი დაეცა თავის ლოგინზედა.

— ნუ გეშინიანთ, ადამიანებო, გვითხრა დედა ჩემმა, ეგ სიცხისაგან როტავს.

— და რაღა ალი წამოაროტვინა სიცხემ! გულამოსკენით იკითხა შუათანა ბიძამ.

ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა. ყველანი ჩუმად ვიყავით. ყველანი ამ ჩვენს აწინდელ უბედურებაზედ ვფიქრობდით. „მართლაც-და, — ვამბობდი მე ჩემს გულში, — რაღა ალი წამოროტა! ან კიდევ განა როტვასა ჰგავდა მისი დინჯად და კკვიანურად წარმოთქმული სიტყვები? არა, არა, სწორედ თან გადმოგვცვა ალი, სწორედ უნდა ამოგვლიტოს ყველანი“. ამ ფიქრების შემდეგ მომავლნდა ტყე და იქ ალის ნახვა, მომავლნდა მამა ჩემი და ყველა ის ხმები, რომელნიც კარგა ხანს ტრიალებდნენ ჩვენს სოფელში ალსა და ჩვენზედა... ბოლოს თვალ-წინ ჩვენი აწმყო მდგომარეობა წარმომიდგა. ყველა ამ მოგონებ წარმოდგენის გამო მე საშინელმა ცახცახმა ამიტანა!..

— მიიშველეთ, მიიშველეთ!.. ალი მოდის, ალი! არიქა, აგერ შემოალო კარები!.. დაილრიალა კვალად ლოგინზე წამომჯდარმა ავალმყოფმა.

მე მივიხედე კარებისკენ. ყურებმა წივილი დამიწყეს, მუხლები ჩემეკეცა! კარებში მართლა აღი დავინახე.

— აღი, აღი!.. დავიძახე და მოვეხვიე დე და ჩემს.

რა მოხდა ამის შედეგ, გარკვევით აღარა მახსოვს. რა!.. იმ დამესვე მომცემოდა საშინეული იცხე, დამკარგოდა მაშინვე მოსაზრება და დამეწყო როტვა, რომლის საგანი მომეტებულად, თურმე, „აღი“ იყო. მთელი ოცდა ერთი დღე ამ გვარ მდგომარეობაში ვყოფილიყავ... ოცდა მცორე დღეს მომსვლოდა ოფლი და სალამოზედვე პირიქითა ქვეყნისკენ მიქცეული, პირაქეთისკენ შოგძრუნებულიყავ. მეორე დღეს მოსაზრებაც, ცნობაც და გაგებაც კვალედ დაშიბრუნდნენ. წინაპირველად, რომ მოსაზრებით გავახილე თვალები და ჩენს მიწურში მივცხედ-მოვიხედე, კარგა ხანს ვერ მოვიაზრე — სად და როგორ ვიყავი. შემდეგ მომაგონდა ჩვენი გადმოსახლება, მომაგონდა რომ ამ გაღმოსახლებასთანავე ჩვენ საოფლე შეგვიდგა, რომ ამ საოფლით ყველაზედ უწინ გახდა ავად ჩემი უნცოსი ბიძა, ალექსა. მომაგონდა, სადაც ის იწვა, და ნელ-ნელა გადავიხედე იქითკენ. ის აღაგი ეხლა ცარიელი იყო, მაგრამ ცოტა აქეთ კი ვიღაც, ალექსაზე უფრო დიდი, იწვა. დედა ჩემი ცეცხლა პირას იჯდა და ჭვაბში რაღასაც ხარშავდა... დრო გამოშვებრთ მისგან ისმოდა დაბალ ხმიანს

ზუზუნი და ამ დროს მის ლოკებზე განუწყვეტლივ მისღვევდა ცრემლი ცრემლსა.

— დედა, დედა!.. დავრძახე სუსტი ხმით.

— რა გინდა, შენ თავ შემოგევლე, რა? სიხარულით წამოიძახა მან ცეცხლთანვე და ბარბარით გამოექანა ჩემსკენ,

— ალექსა სად არი, დედა? დავეკითხე.

— ალექსა, შვილო, კარგა გახდა და ეს არი ეხლა კარზე წავიდა, — მომიგო მან.

— ეს ვიღა წევს ექა?.. თვალებით უჩვენე მწოლარეზე.

— ეგა, შვილო, ბიძა შენი ნინიკა! დღეს ცოტათი შეამცირა და წამოწვა.

სამი ოთხი დღის შემდეგ, როდესაც ცოტა უკედ გავხდი, თვით დედი ჩემისაგანვე შევიტყვე, რომ აველა ეს სიტყვები ჩემს დასამშვიდებლად ყოფილიყო ნათქვამი... სინამდვილე კი მდგომარეობდა შემდეგში: ალექსა ერთი კვირა წოლილიყო ლოგინში და მერე თქვერი ჭირი წაეღო. ამის დამარხვის დღესვე გამხდარიყო ავად შუათანა ბიძა ნინიკა, ამან თურმე ერთი პირველ ლამეს კი დაიყვირა: ალი, ალიო, და შემდეგ მისგან უბრალო სიტყვაც კი არავის არ გაეგონა. მხოლოდ დღისით ხანდისხან წამოჯდება თურმე ლოგინში და რაღაზედაც იღიმება, იცინის: ლამე კი ბევრაჯელ გაბმულად და გაურჩევლად ბუტბუტებს და ხან წინლებსაც იქნევს ხოლმეო.

— ნინიკა, ნინიკა! რასა იქ, როგორა ხარ?

დავუძახე მას, როდესაც ყველა ეს შევიტყე
დედიჩემისაგან.

ამ დაბახებას წინაპირველად ნინიკამ თით-
ქო ყურადღებაც არ მიაქცია: ის კარგა ხანს
ჩუმად იყო; შემდეგ ნელ-ნელა წამოიყელყე-
ლავა, გადმომხედა და რა კარგა გამარჩია;
დაიწყო ჩუმათ სიცილი.

— ნინიკა, გიამა, შვილო, რო შენი სი-
მონა კარგა გახდა? დაუძახა მას დედა ჩემმა.

— ხა, ხა, ხა, მიამა, მიამა, ხა, ხა, ხა...
ხმამალლივ დაიწყო მან სიცილი და ძახილი.
ამის შემდევ ცსევ წაწვა და თუმცა ბევრი ვე-
ძახეთ, მაგრამ ერთხელაც აღარ გამოგვეუ ხმა.

— რათ არის დედა, ნინიკა, ესრე? ვკით-
ხე ჩუმად დედა ჩემს.

— ჩვენის ცოდვის კითხვათ არის, შვილო,
ჩვენის ცოდვისა, —მამიგო მან. ავი სული და-
ეცა ერთ ლამეს თავზე და მას უკან აგრე გა-
სულელდა. არაფერი არა სტკივა რა, სიცხე
არა აქვს და წევს კი ეგრე; თუ ვეტყვით ადე-
ქიო, აღვება, თუ არა და ეგრე გაჩუმებული
წევს... მე დლევანდლამდინ ასე მეგონა — და-
მუჯჯა-მეთქი ეგ უბედურის შვილი.

— დათუა სადღა არი დედა? ვკითხე უფ-
როსს ბიძაზე.

— ის გაიხიზნა, შვილო, რო ვენახისთვინ
მოევლო და ჩვენთვისაც გარედამ ეპატრონები-
ნა მომიგო დედა ჩემმა.

ასე, ოთხი სული დავრჩნილიყვით მარ-
ტოკა... ერთმა ამათგანმა თქვენი ჭირი წაი-

ლო, მეორე გასულელდა, მესამეშ საოფლე
კარგად იხადა, მეოთხე, დედა ჩემი კი ისე
სალათვე დარჩა, როგორც საოფლემდინ იყო.
ამით და ამ გვარად გავატარეთ მთელი ორი
თვე. შემდეგ, რა კი ორმოცი დღე გავიდა და
ავად აღარავინ გაგვხდომია, მეზობლებმა იწყეს
ნელ-ნელა ჩვენთან სიარული... დათუაც ისევ
ჩვენთანვე დაბრუნდა. ძველებურადვე გავყავით
თავი ჩვენს პირუტყვა-ადამიანურ ცხოვრების
ულელში.

¶

 აიარა რავდენმამე წელიწადმა ამ სა-
ოფლის შემდეგ! ამ დროს განმავლო-
ბაში ბევრმა კოკა პირმა წყალმა ჩაია-
რა ჩვენი მდინარის კიდეებ შუა; ბევრ
ნაირად იცვალა ფერი ჩვენი ოჯახის მდგომა-
რეობამაც! ბიძა ჩემი ნინიკა დარჩა ისე სუ-
ლელად. მას თითქო ამ ქვეყნისა არაფერი. არ
ესმოდა: დაგლეჯილ ყისინის ჩოხაში გამოხვე-
ული ის მუდამ ტრიალებდა ჭავის შინაგან
ქვეყანაში. სხვას ათასჯერაც რომ დაეძახნა,
ის ერთხელაც არ გასცემდა ხმასა, მაგრამ თა-
ვის თავს კი თითქმის ყოველ წამს ებაასებო-
და... სხვასთან ერთს მცირეოდენად თუ გაი-
ლიმებდა, თორებ სიცილი და ხუმრობა მას
სრულიად ეჯავრებოდა; მარტოკასათვის კი
რომ გეცქირნად, ან ყური დაგეგდოთ, თქვენ
უსათუოდ, არა ერთხელ დაინახავდათ მის ხე-
ლების ქნევას, არა ერთხელ გაიგონებდით მის

სიცილს... ხალხში ომშ ყელიც გამოგეჭრათ, ის თითსაც არ გაიქნევდა; მაგრამ შენი მტერი თუ შემდეგ სადმე მარტოკა შეხვთებოდით! თვისი ლონიერი მკლავებით მაშინვე დაგცემდათ ძირს და სინამ ერთს კარგა დათვურად არ დაგტოტნიდათ, ხელიდამ არ გაგიშვებდათ. კაცი, ქალი, დიდი, პატარა, ქრი, მღვდელი — მისოვას სულ ყველა ერთი იყო; ყველას ერთი საზომით ზომავდა, როდესაც ეს საქმე მისთვის საჭირო გახდებოდა. მიგრამ ყველა ამასთან იყო დაუღალავი, ბეჯითი მუშა: ზამთარ თუ ზაფხულ მის ხელში საქმე არ გამოილებოდა. მომეტებულად მას უყვარდა ვენახი და იქ მუშაობა. გაზაფხულდებოდა თუ არა, ის მთელ დღეს ვენახში ატეჭებდა. ჩვენი ოჯახი დღეს თითქმის სულ მოლად მასზე იდგა. უფროსმა ბიძამ — დაიუამ, — ცოლი შეირთო, დაწვრილ-შვილდა და ბოლოს დასნეულდა კიდეც. რაც შეეხება დედა ჩემს, ეს სწორედ გასაკვირველი ადამიანი იყო. კარგი ოჯახის ქალი, ის გათხოვების შემდეგაც თავ-დაპირველად კარგ შემძლე გლეხურ ოჯახში დატრიალდა; ამის გამო მან არ იცოდა, თუ რა იყო სისაწყლე; არ გამოეცადა შიმშილი, სიტიტვლე, ძნელი და გაბმული მუშაობა; მაგრამ დღეს, როდესაც ყველა ესენი თავზე დაატყდნენ, ის თითქმ სრულიად შეჩვეული დახვდა ამ ამბავს. მთელი ოჯახის უკულმა დატრიალებამ და სხვა ათას გვარმა ცუდშა გარემოებამ მასზე თითქო ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს. ის მოთმინე-

ბით და შრომით უდგა წინ აწმყო გაჭირვებას
და რაღაცა გაურკვეველის იმჯდით შექსცემუ-
როდა შომავალს. ესრუთი გახლლათ ჩვენი ოჯა-
ხის თვითოვულ პირთა აწმყო მდგომარეობა.
რაც ზეეხება სახოვალოთ მთელი ოჯახის მდგო-
მარეობას, ეს უფრო სამწუხარო იყო პირველზე.
როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, ჩვენი დაძა-
ბუნებული ოჯახი დღეს ერთი ურის უმათ
გარაიქცა. ჩვენს მხარეში ყველამ კარგად ცის
ხახმ გაბრიელას სახელი. აქამომდე მისი თამა-
სუქები ჩეინის ბადესავთ არის გადაშლილი
მთელი ჩვენი მხრის გლეხობის შრომასა და
ოფლზე. თვის ეშმაკობით, უღმერთო სარგებ-
ლის რთმევით, მოხელეების მოსყიდვით და
მათის შემწეობით გლეხთა ტვინის წოვით, ის,
უწინ ერთი ღატაკი მეწვრიმალე, რავდენიმე
წლის განმავლობაში, გამოჩენილ მდიდარ კა-
ცად გადაიქცა. ყველამ კარგად ვიცოდით მისი
უღმერთობა; ყველას გაგვეგონა, თუ სამი ლი-
ტრა მარილის ფასი ხუთ წელიწადს როგორ
გარდუქცია ოც და ათ თუმნად ერთ გლეხსა!
შემდეგ უჩივლა, წაართვა ვენახი, ნაფუძარი
და ღვთის ამარა გაუშვა მათი საცოდავი პა-
ტრონი. ვიცოდით ყველა ესენი და კიდევ
ბევრი სხვა რამე, მაგრამ რა გვექნა?.. გაჭი-
რვების დროს მაინც ისევ მას მივმართავდით
ხოლმე, რადგანაც კარგათ ვხედავდით, რომ მის
მეტი გზა ჩვენს ბედობაზე სხვა არ იყო გაჩე
ნილი. მივმართეთ კიდევ, როდესაც გაჭირვება
დაგვადგა! ათი თუმანი თავნი ვალი ხუთი

წლის განმავლობაში სამოც თუმნად გაგვიხადა. დაგვაწერინა სამოცი თუმნის ახალი თამასუქი და შემდეგ წაგვიჭირა ყელში ხელი: — გინდათ თუ არა, მალე უნდა მამცეთ ეს ფულიო. საიდამ მივცემდოთ? ჩვენს დანიავებულ ოჯახს სად ჰქონდა ან ათი თუმნის გადახდის. შეძლება? მოვიდოდა, გვეჩეუბებოდა, გვლანძლავდა, გვემუქრებოდა და რა დაიღლებოდა ამ გვარი ყავყავით, მოგვშორდებოდა ხოლმე თავიდამ. მაგრამ ამ გვარი მისვლა-მოსვლა მას ბევრჯელ არ გაუმეორებია. სამიოდ ამ გვარი შემთხვევის შემდეგ ის როგორლაც გაგვიჩუმდა: ორი თვე მეტი გავიდა, მისი სახე აღარ დაკვენახა. ეს, დედი ჩემის მეტს, ყველას გვამხიარულებდა; დედი ჩემის სახე კი სხვა გვარად იცქეროდა რავდენიც ღრმ გადიოდა და ხახამ გაბრიელა გვიძირებდა თავის ნახვას, იმდენად დედი ჩემის სახე სევდისა და მწუხარების ნისლებით იფარებოდა.

— ის ურჯულო უსათუოდ ჩივილს გვიპირებს, მამულს წაგვარომევს!.. კვნესით იტყოდა ხოლმე დედა ჩემი.

VI

 ყო გრილი, მშვენიერი გაზაფხული. მწვანებულ ველ-მინდორს გაჰქონდა მწვანეთ ლალანი; ზამთრისაგან გაყვლე- ფილი ხეები საამურად იმოსებოდნენ ნორჩი, ლაშაზი ფოთლებით. ლურჯი, მოწმენ- დილ-მოქრიალებული ცა რაღაც იმედიანად-

იცქირებოდა ზემოღამ. ნოტიო, გრილი ჰაერი
თითქო კოკიპირულად გვასხავდა საიდგანდაც
ძალას, სიხარულს და შრომის სურვილს. ჩვენს
შრომის მოყვარე გლეხს ამაზე შეტი რაღა უნ-
და?.. ჩვენებურმა გლეხებმა, დაინახეს რა ყვე-
ლა ეს, წამოავლეს ხელი ბარებს, წალდებს,
სასხლავებს... ვენახებში გაჩნდა სარის ჩეკვის
კაფა-კუკი, გაისძა მხიარული სიმღერა... იწყო
გაცხარებული მუშაობა. ჩემი ბიძებიც, რასა-
კვირველია, არ იყვნენ სხვებზე უკან ჩამორჩე-
ნილნი. ამათაც ვენახის შეზუშავებას მიჰყვეს
ხელი. დაბარეს, გასხლეს და შესარეს; ამოუ-
თხარეს გვერდებზე სარუე თხრილები, გაასწო-
რეს ღობე და, სადაც საჭირო იყო, დაადვეს
ჯალჯი. ერთი სიტყვით: ვენახი ახალი ჰატარ-
ძალივით ძორთეს. გაიარეს კვირეებმა. თვემ...
ვაზი შეიმოსა ფოილით... ყურძნის მტევნებმა
იწყეს შევსება და გადიდება. ეტყობოდა, რომ
წელს კაოგი ღვინის მოსავალი იქნებოდა.

ერთ კვირა დღეს, წირვის დროს, ჩვენე-
ბურგა მავასახლასშა შემოუჩია ჩვენი კარე-
ბი და შემოიძა სახლ მი.

ბაჭო, დათუა გამოდი ე საყდრის კარებ-
თან, შენზე ცოტა რამ საქმეა.

დათუა მა მინვე იდგა და წავიდა. მის გა-
სვლის შემდეგ ნინიკამაც აიღო წალდი ხელში
და გასწია ვენახისაკენ. კარგა შუადღე გადა-
ვიდა და ჯერ არც ერთი და არც მეორე ბიძა
სახლში არ დაბრუნებულიყვნენ. დედა ჩემთა
ამოზილა ღობით, ამოაღო კიდობნიდამ შეა-

დის ნახორხლები და ნელ-ნელა ჯამებსაც აღა
გებდა ხონჩაზე, რომ უცემ დერეფნილამ მო-
ისმა რავდენიმე ადამიანის ფეხის ხმა და ლა-
პარაკი. ცოტა ხანს უკან გაიღო კარები და
დარბაზში შემოვიდა ბიძა ჩემი დათუა; მას
შემოჰყვნენ მამასახლისი, ორი მისი თანაშე-
მწე, ხახამ გაბრიელა და ერთი ვიღაც რუსულად
ჩატარებული — სასამართლოს ბოქაული — როგორც
შემდეგ შევიტყეთ. ათასი წელიწალიც რომ
ვაუცხლო, ვვონებ მაინც არ დამავიწყდეს
ბიძია ჩემი დათუას მაშინდელი სახის გამო-
მეტყველება! სახისა კი არა მარტო, მთლად
მისი არსების მდგომარეობა. ამ ნახევარ დღეს
ის, ოცდათუთხმეტის წლის კაცი, სამოცი
წლის მოხუცებულს დამსგავსებოდა. წელში
საცოდავად მოკაკულს, გაყვითლებულს, თვა-
ლებ მიცივებულს დაძპალ ხესავებ გაქვინდა
ძანძარი. წინაპიროველად ის თითქო ვერაფერსა
ხედავდა: იჩერჩერა, იჩერჩეტა, და კინალამ კე-
რას გადაწყდა. დედა ჩემთა ამათ შემოსვლის
დროს ერთი ლრმად აპოვენესა და მიჯდა თა-
რო!თან. ჩვენ — სხვებს — დათუა მთვრალი გვე-
გონა.

— კაცო, რა დაგმართვია, შე ოჯახ-და-
ქცეულო? დაუძახა მას ცოლმა; ე კეჩაზე თავ-
პირი არ დაინტერიო!

ამ ხმამ დათუა თითქო ლრმა ძილიდამ გა-
მოაფხიზდა: ის შესდგა კერასთან, მწუხარედ
აგვავლ-ჩაგვავლო თვალი და, რა დაინახა დე-
და ჩემი, ერთი საშინელის ხმით შეღრიალა:

— ჩემო რძალო, ქეთევან .. ვაი ოჯახის დაღუპვასა! ამ ურჯულომ, ამ თათარმა ურიამ აკი მართლა დაგვლუპა!.. უჩივლია, უჩივლია!.. ვა, ცოლო და შვილო დაღუპულო!

დედა ჩემი წამოვარდა ფეხზე, დარეტიანე ბულსავით ბარბაცით და თავის ცახცახით მა ვიდა ცეცხლაპირას...

— მერე, მერე? ჰეთხა მაზლს.

— ვენახი გაგვიყიდეს, ვენახი, ვენახი... ვაი, ცოლო და შვილო! ნაფუძაჭი გაგვ...

— აკი წინათვე გული მიტყობდა! ეგ ურჯულო, ეგა!.. თვალ ცრემლიანმა წამოუკვნესა დედა ჩემშია

ამის ცრემლებმა და მომტირალე ხმაშ ბავშეებსა თუ ღიდებში აღძრა ერთი საშინელი ტირილი და ჯლავილი. კაცს ეგონებოდა ამ ხალხს ცხედარი უძევთ წინაო. ყველანი ვტიროდით, მაგრამ დათუა!.. დათუა!.. ეს საცდავი კაცი სწორედ დაგლეჯილი დათვივით ღრიალებდა.

— ე რა ამბავია ეე! ჩემი რჯულის მაღლმა აქ კაცს არ დაედგომება ეე!.. სთქვა ხახამ გაბრიელამ და გასწია კარებისაკენ.

დანარჩენმა მისმა მეგობრებმა დათუას დაუწყეს ბრძნულად დარიგება...

— ე მაგ ტირილს, შვილოსან, ისა სჯობია, რო ე ღამშეულ ხალხს გვაჭამო რამე!.. დააბოლოვა მამასახლისმა საერთო დარიგება.

— გაჭამოთ კი არა, შავი ქვა არ გინდათ!.. თქიე სულთა მხუთავებო, თქვე კაცის

მჭამლებო თქვენა!.. დაიძახა გამწარებულმა
დათუამ...

— ე ჩემი გასამრჯელო მამეკით მაღა..
ბრძანების კილოთი წარმოსთქვა სასამართლოს
ბოქაულმა. მარტო თქვენთან ხომ არ მოვ-
სულეარ; სხვაგანაცა მაქვს საქმე.

— რამდენი მინანთულია, ბატონო, სო-
ლომონ?.. ცულლუტურის თვალების ჭყეტით
ჰკითხა მას მაშასახლისმა.

— თორმეტი მანეორ და ათ-შაურ ნახევა-
რი!.. ბრძანა ბოქაულმა.

— თორმეტი გროშიც არ გვაბადია! რა
უნდა მოგცეთ!.. ვენახი, ნაფუძარი წაგვართ-
ვით და კიდევ ჩვენ უნდა მოგცეთ? ლმერთი
მოიგონეთ, თქვე სახლ-კარ დაქცეულებო,
ლმერთი!.. დაიძახა დედა ჩემმა.

— მე შენისთანა დედაკაცებს პასუხს არ
ვაძლევ! ბრძანა ბოქაულმა.

— აბა ხეპერაანთ ბაბალესავით თურქუშაუ-
ლით სავსე გოდრები მოგარიავა, თუ პასუხი
არ გამცე მაშენვე! აბა მედუქნე მიხაკასავით
ცოცხალ ცოცხალი კაპოეტები მოგიტანო, თუ
იმავე წამს მოწყალეს თვლით არ დამიწყო
ცეკრა?. სოქვა გაცხარებით დედა ჩემმა.

— შენ სიტყვებს, დედა-კაცო, რა ძალი
სძევს!.. ცველამ ციის, რომ მე ქრთამს არ ვი-
ღებ და საწყალი ხალხი მეზრალება კიდევა...
ბრძანა ამაყად ბოქაულმა ცოტაოდენის სიჩუ-
მის შემდეგ.

— ჰო, სიტყვით თურმე ეგრე ბრძანებ

ყველგან: საწყალი ხალხი მებრალებაო .. აბა
ერთი ბრძანე - რომელი საწყალი, კაცისთვის
ერთი ორად არ გამოგიროთმევია ფული?.. მი-
უგო დედა ჩემმა.

— მიდენ ცილის, წამებას მე შენ არ შე-
გარჩენ! ბრძანა გაჯავრებით ბოქაულმა და მი-
უახლოვდა მამასახლის; წასჩურჩულა მას რა
ლაც ყურში და დადგა დოინჯ შემოყრილი.
მამასახლისმა წამოიყელეყლავა და მრისხანეთ
ბრძანა.

— როგორ თუ არას მისცემთ? მა ე ჩინო-
ნიკი კაცი თქვენი მოსამსახურე ყოფილა რა-
ლა?.. ეი, სუდიებო! წადით და ბოსლიდამ
ფურ-კამეჩი გამოიყვანეთ...

მამასახლისის თანაწემწენი დაიძრნენ კარე-
ბისაკენ.

— ფურ კამეჩი ჩემია და ჩემი ცოცხალი
თავით არავის დავ წებებ.. დაიძახა დედა ჩემმა
და გაპქანდა კარებისაკენ.

ამ დროს ბაყიდამ შემოისმა ჯერ რაღაც
ხრალი და შემდეგ ნაწყვეტ ნაწყვეტად ყვი-
რილი:

— მიშველეთ ეე, მამკლა... ე... მიშვე-
ლევ...

— არიქა, უშველეთ, დაიძახა მამასახლის-
მა, — ალბად ი გრუშა ნინიკამ ჩაიგდო. ხელში
ხახამ გაბრიელა! არიქა, უშველეთ!. მაგ მამა-
ცხონებულს ვენახში აკი ვეუბნებოდი თავი
დაანებე მაგ გიესა მეთქი?..

ყველანი გაცივდნენ ბაკში, გაბრიელა

ზედ ბაკის კარებში იყო გაჭიმული, მას გულ-ზე აჯღი ნინიკა, რომელსაც ცალი ხელით დაეტლუნა მთლად ყელი და კისერი გაბრიელისი და ახრჩობდა; შეორე ხელი კი წაევლო წვერში და ისე ლონივრად ახლევინებდა თავს მიწაზე, რომ სამ-ოთხ ალაგიდამ თქრიალით გადმოსციოდა სისხლი ურიას.

მამასახლისი და მისი თანაშემწენი მისცვივ-დნენ ნინიკას, გადმოაგდეს აქეთ და შეუბრა-ლებლად დაუშენეს ჯოხები. ნინიკა იდგა ჩუ-მად და მხოლოდ საცოდავად იღრიჯებოდა; ხანაც, როდესაც ძრიელ ეტკინებოდა, რაღაცა პირუტყვასცით შეცლმულებდა ხოლმე. სამი კაცი უღმერთოდა სცემდა მას და სცემეს, სი-ნამ დედა ჩემი არ ჩადგა მათსა და მათ მსხვერ-პლის შუა. დედა ჩემი დაინახა თუ არა მამა-სახლისმა, მაშინვე ანება თავი ნინიკას, მირხედ-მოიხედა და დაიღრიალა:

— გამოიყვანეთ, ბიჭებო, ფურ-კამეჩი, გა-მოიყვანეთ ჩეარა!

ამ სიტყვების შემდეგ თვით მამასახლისმა გისწია ბოსლისაკენ; თანაშემწენი გამოუდგნენ უკან. დედა ჩემმა წამოავლო იქვე ახლო მი-უდებულ ნიჩბის ტარს ხელი და გაექანა ბოს ლის კარებისკენ.

— ექ თავს მოვიკლამ და კამეჩს კი არ დაგანებება... დაიძახა მან და ჩასდგა ბოსლის კარებში.

— ჩამოდექ, ჩამოდექ, დედაკაცო, — დაი-ყვირა მამასახლისმა და გაიშვირა წინ ხელები,

რომ დედა ჩემი აქეთ გამოეგდო; მაგრამ დედა
მაგრა იდგა კარებთან.

— რას უყურებთ! შეუტია მომლიმარე თა
ნაშემწეთ მამასახლისშა, მოდით, გადააგდეთ
იქით ე გაკაპასებული დედაკაცი!

სამთავენი მიეხვივნენ დედა ჩემს. განდა
ლანძლვა, წყევლა, წივილ კივილი. ამ ვაი-ვაგ-
ლაბში უცებ აიმართა ჰაერში დედი ჩემის ნიჩ-
ბის ტარი და მოსხლეტით დაეშვა მამასახლი-
სის თავს. მამასახლისშა თავზე ხელების სმით
იკალრა უკან დაწევა... ნიჩბის ტარპა წამ და-
უწუმ იწყო ჰაერში ტრიალი. თანაშემწეთ
მოუსვეს ბაკის კარებისკენ; მამასახლისი, ბო-
ქიული მიჟყვნენ მათ უკან. დედა ჩემიც არ
იდგა ფრთ ალაგას: ის სრულიად სახე შეშ-
ლილი, გამგელებული მისდევდა მათ უკან და
კარგი ვაუკაცივით ატრიალებდა ნიჩბის ტარს
მათ თავებ ზემოდ.

— დედა შვილობას მიშველე, ქეთევან ეე ..
მიშველ... მოისმა უცებ ძახილი

დედა ჩემი გაიქცა ურიისაკენ. როდესაც
ცველანი დედა ჩემს მიეხვივნენ ბოსლის კარებ-
თან, ხახამ გაბრიელას უცებ სცემოდა ნინიკა
და საჩქაროზედ ამოედო ქვეშა... წელანდლი-
სავით დასჯდომოდა ზემოდამ და წაეჭირა ცელ-
ში ხელი.

— აუშვი, აუშვი ეგ თათარი, ეგა... აუშვი,
ბიჭო; ექ ცოდვა არა შეგვენთხვეს-რა! დაუ-
ძაბა დედა ჩემმა ნინიკას და წაავლო ხელი.
ნინიკა „ჰე, ჰე“-ს ძახილით ადგა. ხახამი სა-

ჩქაროზე წამოხტა ფეხზე და ფაცხა-ფუცხით
გავარდა ბაკის კარებში... დედა ჩემპა ბაკის
კარები მაგრა ჩაკეტა. დაბეჭილი გაბრიელა
მიუერთდა თავის პატიოსან ამაღას, რომელიც
შეჯგუფებული იდგა ბაკის კარების ცოტ
შორი-ახლო. ამ დარბაისელმა ხალხშა ერთმა-
ნეთს აავლ-ჩავლეს თვალი: ურიას და მამა-
სახლისს პირი სისხლითა ჰქონდათ შესვრილი.

— ვაი დედი ჩემის ღმერთსა იძახოდა მამა-
სახლისი; ერთმა წუპაკშა დედაკაცმა ე რა გვიყო?
ღმერთია შენი თავდები, ხალხში თავი აღარ
გაგვეყოფება!..

— აი დასწყვევლა ჩემმა გამჩენმა წმინდა
გიორგიშ ეგ დედაკაცი!.. მისძახოდა მამასახ-
ლისს ერთი თანაშემწეთაგანი... ე რა გვიყო,
შენი ქირიმე? რათ გაპოვიქცით, კაცო! რა-
ტო, შვილოსან, ი კარებში არ წავაქციეთ და
თავის ლეჩაქით ერთი... არ შევაჭიმეთ?

— ტყვილათ კი არ არა, ძმაო, ნათქვამი:
დედაკაცმა თუ გაიშია, ცხრა უღელი კამეჩიც
ვერ შეიმაგრებსო მაგრამ მა დედაკაცში, ძმაო,
სწორედ აღი ზის!.. თავი გამიტეხა მა ოჯახ
დაქცეულის გამოცემულმა!

— მოდი, ერთი ე თავი შემიხვიე ეე...
დაუძახა მოლაპარაკეს გაბრიელმა: უნდა უსა-
თუოდ ვუჩივლოთ ეე...

— უნდა ვიჩივლოთ!.. დაურთო მამასახ-
ლისმა: მაშ არა და უგრე გაუშვებთ.

— აკი გითხარით: ტული გაბრიელმა უნდა
მომცეს და არა მაგათა შეთქი. . სთქვა ბოუ

ქაულმა აიჩემეთ: არა, ამათაც გამოვართვათო...
კარგები გამოართვით! ექ, ღმერთი არ გაგი-
წყრეთ, არ უჩივლოთ, თორემ ეს საქმე სულ მე
მამეხვევა თავზე... ისევ ისა სჯობიან: აქვე ში
ნაურულად გადაახდევინდა.

იყაყანეს კიდევ რაღაებზედაც და შემდეგ
ამალა შემოეხვია თავის ბატონს — ხახამ გაბ
რიელას, და დაუწყო გასამრჯელო ფულის
თხოვნა. გაბრიელმა ბევრი იყოყმანა: უნდოდა
თავიდამ აეცდინა ფულის გაცემა, მაგრამ ვერა
გააწყო რა და ბოლოს ამოილო ქისა: ხუთი
მანეთი მამასახლისს მისცა, სამ სამი მანეთი მის
თანაშემწეოთ... თხუთმეტი მანეთი სასამართლოს
ბოქაულმა ჩაიდო ჯიბეში... და წავიდ·წამო-
ვიდნენ.

VII

კ რიისა და მის ამალის გაცლის შემდეგ,
დათუას გააცივა. მთელი ერთი კვირა
რვახვახა. მეორე კვირას თუმცა წამოდ-
გა ლოგინიდამ; მაგრამ იყო საშინლად
დასუსტებული და გაყვითლებული მამაკვდავ-
სავით. იმ გვარ მდგომარეობაში მყოფი დათუა
ერთ თბილ საღამოს იჯდა ჩვენი ბაკის კარებ-
თან და ნაღვლიანად გაიცემარებოდა სასაფ-
ლაოსაკენ. დათუას სახე ლრმა მწუხარებით
იყო დაფარული. ყოველი გამ იხატულება და
მოძრაობა მის სახისა ცხადად აჩვენებდა იმ კა-
ცის სულისა და გულის სრულს დაცემას მისი
ჩაკვივნული, მიცივებული თვალები ისე და.

ლონებით და რაღაც სასოებით იკვირებოდნენ
სასაფლაოსაკენ, თითქმ მათი პატრონი იქ
დამარხულ გვამთ შენატრიის. დიღხანს იჯდა
დათუა ესე გაჩუმებული; ბოლოს გაანძრია თა-
ვი, სამჯერ-ოთხჯერ გულიანად ამოიკენესა;
შემდევ, სევ სასაფლაოსაკენ მიიხედა, აავლ-
ჩავლო თვალი იქაურობას და მაღალის ხმით
(თითქმ უნდოდა ეს სიტყვები გაეგონებინა
მათვის, ვისკენაც იყვნენ მიმართულნო) და-
იძახა: ნეტავი თქვენ, ნეტავი თქვენ! ამის შემ-
დევ ისევ ჩაღუნა თავი და, როგორც მის ცრე? -
ლით სავსე თვალებს ეტყობოდა, გაებბ კვა-
ლად სამწუხარო ფიქრებში.

მხემ კარგა ხანია რაც ჩაუშეა თავისი „შუ
ბის ტარი“ სხივები დასავლეთის მთებისაკენ; მისი საღამოებამურ ყვითელ-მოწითალო სხივე-
ბი მხოლოდ აქა-იქლა იყვნენ გაწოლილნი დი-
დი მთების ჩრდილით დაფარულ, ათასფერად
აქრელებულ ველ მინდოოზე. სალამოებამური
ბინდ ბუნდი ნელ-ნელა ეხვევოდა ბარ ალაგს; მაგრამ თოვლით მოსილი მაღალი მთის. წვე
როები კი ამ დროს მხიარულად კაშაშობდნენ; და-
მავალი მზის სხვა და-სხვა ფეროვანი სხივები
უხვად მოჰქონდნენ მათ და ჰბალავდნენ რა-
ლაც საოცარს ელვარებას. ყნოსვის ტამტკბო-
ბი მინდვრის ჰაერი ნელ-ნელა ინძრეოდა და
ამ მოძრაობით აჩენდა მწვანე თავთავიან ყა-
ნებში ზღვის ტალღების მსგავსს ცმალლებულ
და დადაბლებულ ზოლებს. ფრინველთ გილო
ბა-ჭიკეჭიკი, საქონლის ბლავილი, ადამიანის

სიმღერა ხმაურობა ერთი-ორად აკოცხლებდნენ
უამისოდაც გაცოცხლებულ გაზაფხულის ბუ-
ნებას. მაგრამ .. ჯანაბას ყველა ესენი!. რას
ნიშნავს ბუნების სიმშევნიერე, თუ კი ადამია-
ნის გულსა და სულში ოღზნებული ცეცხლი
ანთია! თუ ნამდვილი მშრომელი ადამიანის
არსება, ცხოვრების უმსგავს გარემოებათა წყა-
.ლობით, ისე დატანჯულა და იტანჯება, რომ
დამიწებული გვამის მდგომარეობა მისთვის სა-
ნატრელი გამხდარა! ჩვენი დათუა ყველა ამ
ბუნების სიმშევნიერეს თითქო ვერც კი ხედავ-
და. ის მწარედ დალონებული იჯდა და, ვგო-
ნებ, კიდევ დიდს ხანს იჯდებოდა ასე გაუნ-
ძრევლად, თუ მოსული ხარ ხბოს და ნახირის
კყვირილ-ბლავილს არ გამოეყვანა ამ მდგომა-
რეობიდამ. მან აიღო თავი მაღლა და გახედა
სოფლისკენ მიმავალ შარა-გზას. გზაზე შოჩან-
და ვიღაც კაცი. წინაპირველად ის დათუამ
ვერ იცნო, მაგრამ როცა ცოტაოდენი ხანი
გავიდა და მომავალი მოუახლოვდა, დათუამ
გაარჩია, იცნო, რომ ის იყო აზნაურა ზაქა-
რია დიაკანი. გავიდა კიდევ რამოდენიმე წამი
და ზაქარია დალვრემილის სახით, პლუტური
თვალების ბრეცით და ცხვირის განუწვეტე-
ლის ფრუტუნით დაადგა თავს ჯან-გამოცლილ
დათუას.

— მობრძანდი, მობრძანდი, ზაქარია! დაუ-
ძახა მას კვნესით დათუამ .. დაბრძანდი შენი
ჭირიმე...

— რა ამბავია, კაცო, თქვენს თავს? —

ფლიდურ-ჯავრიანის კილოთი დაუწყო კითხვა
დათუას ახლად მისულმა, როდესაც მანაც ჩა-
მოსაჯდომი ქვა იშოვნა. ღმეროია მოწამე, რომ
თქვენი ესეთი ყოფა ყველასთვის შესაწუხარია.
ნათელ-მირონობაც რომ არ იყვეს, ქრისტია-
ნები და მეზობლები ვართ. ვთიქრობ და ვერა
მომიტიქრია რა: რა არი და როგორ არი ე
თქვენი საქმე?

— რა როგორ არი, ჩემთ ზაქარია, იწყო
კვნესით დათუამ, ვიღუპებით და ეს არი! — ვე-
ნახი, ნაფუძვარი წაგვართვეს! რაღა ოჯახია
ჩვენი ოჯახი... ღმერთმა აილო ჩვენზე ხელი! .
ჩვენი უბედურება ალის გამოჩენილამ იწყო.
ი წყეული ახლა უჩინაჩადა გვდევნის! ღმერ
თო, იდილის შენი სახელი!.. გვაპატივ, შენს
მაღლსა და შენს სახელსა! გვეყო ამდენი ვაი-
ვაგლახი.

დათუა გაჩუმდა... მისი ცრემლით სავსე
თვალები მარტინდა ზეცას... მაგრამ მისი სახის
გამომეტყველება ცხადად აჩვენებდა, რომ ამ
საცოდავ იმედ დაკარგულ კაცს ბევრი რამ ნუ-
გემი ალარც იქიდამ, იმ მაღალი ლურჯი ცი-
დამ, ეძლეოდა.

როგორც მეძებარი ძალით აიცევეს ხოლ-
მე ყურებს, როცა ნადირის, სუნს აიღებს, ანუ
ნადრს დაინახავს, ისე ზაქარია დიაკვანმა
საქვიტა ყურები, როდესაც დათუამ სიტყვა
„ალი“ წარმოსთქვა. მის კყეტია თვალებში
უცბად გაიელვა რაღაც სიხარულის და კმიურ
ფილების შუქმა, მაგრამ პატრონმა დიდხანს

არ დასტოვა იგინი ამგვარს ნეტარებაში. თვალებმა ისევ დაღვრემილი სახე მიიღეს... მათმა პატრიოტმა ამოახრანტალა და გაუგრძელა ბაასი დათუას.

— გონიერი და გამოცდილი კაცი ხარ, დათუა! ჩემგან რისამე მოგონება შენთვის საკირო არ არი. ეხლა სწორედ თქვი, რომ ჩვენი უბედურობა ალის გრძანენიდამ იწყოვო! მეც ეგრე ვფიქრობ, მაგრამ ე დღეს ალი რო აღარა სხინს და მაინც თქვენი ოჯახი სულ უკულმა და უკულმა მიდის? ალი, წმიდა გორგის მადლით, მოგშორდათ, მაგრამ ე თქვენ რო მაინც ვერ გამართენით წელში! ეს რა არი? რისგან არის? აი ეს მინდა გავიგო. აქ დიაკვანი გაჩუმდა და თვალებ დაჭუეტილი, ტუჩებ მოკუშმული შეაჩერდა დათუას დაღვრემილს სახეს.

— აკი მოგახსენე, რო, იქნება, ი წყეული ალი ახლა უჩინრად გვდევნის მეთქ!..

— ღმერთ ერწმუნე, დათუა, რო გონიერი კაცი ხარ შენა. შეიძლება, როგორ არ შეიძლება, როგორ არ შეიძლება!.. მე ცხონებული ბიძა ჩემი იორაშისაგან გამიგონია, რო წყეული თუ ჩამოეკიდა ვისმე, უჩინრადაც დაუწყებს. დევნასაო. შენი სიტყვა მართალია, დათუა, მართალი.

დათუამ ამოიკვნესა!.. დიაკვანიც ცოტა ხანს გაჩერდა. შემდეგ უცებ ფეხზე წამოხეა, დაუდგა წინ დათუას და სახე აღტაცებით უთხრა:

— იცი, დათუა, რას გეტყვი?.. აკითხვინე
მყითხავს? ე ეშმაკეულელი მყითხავი, ხო გაგია
გონია, როგორ კარგა მყითხაობს? — აკითხვინე
შენცა, ჰა!..

— განა არა, მეტა ვფიქრობდი მაგაზე...
ძან კარგი იქნება... ხვალვე გავგზავნი ჩემ
რძალს მყითხაეთან... .

— იცი, დათუა, რას გეტყვი? ეს ჩვენ შეა
კი დარჩეს და გირჩევ. რო შენი ცოლი გაპეზავ-
ნო? რაც უნდა იყვეს, რძალს ისე არ შესტეკი-
ვა მახლის: თვის გული, როგორც ცოლს ქმრი-
სთვინა!

— მართალი ბრძანებაა, შენი ქირიმე!.. ჩე-
მი რძალიც ძან დედაკაცია!.. მაგრამ ისა სჯო-
ბია, რო ჩემი დედაკაცი წავიდეს... დათუა
გაჩუმდა... მაგრამ ცოტა ხანს უკან საჩქაროდ
მიიხედა ზაქარიასკენ და დაეკითხა:

— მართლა, ზაქარია, რა ისმის ი რაღაც
ყარაიაა, იმაზე?.. ი ერთ დროს ძან დატყა-
ცურდა ჩვენი ხალხი და ეხლა კი თითქო აღა-
რა ისმის რა!..

— რა ბრძანება! როგორ არა ისმის რა!..
სიხარულით შესძახა დიაკვანმა; ვენაცვალე
ჩვენ რუს ხემწიფეს!.. დიდ წყალობას უშვრე-
ბა ჩვენ შევიწროვებულ ხალხსა... გაიგონებ-
დი შენცა, რო ხემწიფემ გასცა ბძანება: რაც
რამ ყარაია არისო, სუ კარგათ შეამზადეთო:
გაიყვანეთ წყლები, შეიმუშავეთ კარგადაო,
დადგით ქვითკირის სახლები, მიიტანეთ ყველა
სამუშაო იარაღები, მიიყვანეთ ბლომად შევ-

ნიერი არჩეული საქონელი; მერმე შეატყობინეთ ქართველ შეუძლებელ გლეხებსა და უთხარით მათაო: ხემწიფებ ცველა ეს სულ თავის ხარჯით მოვიმზადათ თქვენა და, ვისაც სურვილი გქონდეთ წალით და, დასახლდით იქაო... ხარჯისაგან და ცველა დავიდარაბისაგან განთავისუფლებული იქნებითო; ახლა ისიც უნდა გაიგო, რა მოსავლიანი ადგილია ოურმე ი დალოცვილი ყარაია!.. ცხენი რო გააჭინო და იმისგან აჩინებნილ მიწაში პური, ან სიმინდი ჩათესო—სულ ზღვათ გასკდება თურმე... სამითდ კოდი რო დათესო, რავდენიმე წლის მოსავალი მოგივა... ახლა ტყე თქვი და ისიც იქვე ზურგს უკან... ერთი რამ აკლია თურმე იქაურობას: მუშა კაცი არ არის... ღმერთ ერწმუნე, ე თქვენი ნინიკა რო იქ მოხვდეს, ყოველ წლივ ორას სამას კოდს წმინდა თავ თუხის პურს ჩაყრის ორმოებში... აქ მობაცე შესდგა და დაშტერდა სმენად გარდაქცეულ დათუას.

— მე და ჩემმა ღმერთმა, კაი ღვთის წყალობაა ეგ! ერთი სახემწიფო ხარჯისა და ბეგარისაგან გათავისუფლება ერთ რამეთა ლირს. ძმაო! თუ ეგრეა, მაშ ბევრი ხალხი გაიწევს იქით ..

— ეს სულ ესეა... ცველა ეს ჩემმა ძმა ანდუყაფარმა... მითხრა და ხო იცი, რო იმას თითონ ხემწიფისაგან მოსდის ახალ-ახალი ამბეჭი .. მართალია ცველა ესა და ამისთვინაც დიდძალი ხალხი აპირობს იქ წასევლასა... მაგ-

რამ მომეტებული მათგანი მერმის გაზაფხულზე
აპირებს გამგზავრებას... ვინც წრეულსვე წავა,
ვთქვათ, შემოდგომაზე, იმისთვის ძაან კარგი
იქნება... სახლსაც, მამულსაც, სახნავ-სათეს
იარაღსაც, საქონელსაც - სუყველას აირჩევს
და რომელიც მოეწონება, იმას თავისთვინ აი-
ღებს; როცა სხვანი მერმის მივლენ, ის და-
სახლ კარებული დახვდება იმათა...

— დიაკვანი გაჩუმდა; დათუაც არ იღებს
და ხმას; ეტყობოდა, რომ ის რ ლაც სასია-
მოვნო ოცნებაში იყო გაბმული. ეს შენიშნა
დიაკვანმა, ჩაახველა, ულვაჭებ ქვეშ გაიღია
და შემდეგ წამდგა ფეხზე.

— მშვიდობით, დათუა! ღვერთსა და ე
პატიოსან წმინდა გიორგისა ვთხოვ, რომ
ისევ კარგა გახდე და ვაჟუაცურად მოისვა ისევ
თავზე ხელი... ფიქრი ნუ გაქვს, ღმერთია
მოწყალე. ხემწითე ცოცხალი გვყვანდეს, თო-
რე რა გაგიტირდება?. . სთვა უველა ეს ზაქა-
რიამ და ნელ-ნელა გაუდგა თავის გზას.

— გადლერგძელოს ღმერთმა, მისძახა და
თუამ... შენი ამაგი გადამახთევინოს უფალმა
წმინდა გირგიმა!..

— მკითხავი არ დაივიწყო, მკითხავი... მო-
ისმა დიაკვნის ხმა.

დიაკვანი დაბრუნდა შინ... ფაცა-ფუცით
შეკმაზა ცხენი და კარგა ხშირ ბინდისას დაა-
დგა სოფელ ეშპაკეულისკენ მიმავალ გზას. და-
თუა კი ისევ გაშტერებული იჯდა თავის ალა-
გზე და ფიქრობდა უველა იმაზე, რაც ზაქარია

დიაკვნისაგან გაიგონა ეხლა... სიამოვნება და
სევდა თითქო ერთმანეთს ებრძოდნენ მის გულ-
ში, ხან ერთი სჩანდა დათუას სახეზედ, ხან მეორე,
მას წარმოუდგა თვალ წინ თვისი სიყმაწვილე,
ის ალაგები, ის ხალხი, სიდაც და რომელთა
შორის ეტარებინა დრო იმ ნეტარ სიყმაწვი-
ლეში... წარმოუდგნენ ნათესავები, ნაცნობები,
შემდეგ დედა, მამა, ძები, მათი საფლავები... და
მწარედ ამოიკვნესა დათუამ... „არა, არა მმაო,
სადაც დაბადებულხარ, იქვე ჩაყარე შენი ძვლე-
ბი“ — სთქვა მან და წიმოიწია ზეზე, მიიხედ-მო-
იხედა და ისევ დაჯდა თავის ალაგას. გაება
კვალად ფიქრებში... ახალი ფიქრები დათუას
თავში მაში ჩემის სიკვდილიდამ გამოებნენ...
წარმოუდგა დათუას ალი, მისი უნარები, რო-
მელთა მეოხებით დაეცა ჩვენი სავსე ოჯახი.
მოაგონდა დედისა და ძმების სიკვდილი და გა-
გიუება, ვენახ. ნაფუძრის წართმევა... საქონლის
დახოცვა, თვისი დასწეულება და სხვა წვრიმა-
ლი უბედური ოჯახური გარემოებანი. ყველა
ამათ აუჩქარებლივ და ცხადად გაუარეს დათუას
გონების თვალ წინ და არა ერთი მწარე წვეთი
შხამისა ჩააგდეს მის, უამისოთაც, დატანჯულს
გულში... შემდეგ გადიშალა მის წინ ყველა
ის, რაც ზაქარია დიაკვანმა დაუხატა ყარაიაზ-
ზე... „ღმერთმანი ძან ღვთის წყალობაა ესა!..
წაიბუტბუტა თავისთვის დათუამ... „მაგრამ,
დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ უე ავად რო
ვარ!.. მეტობო შემიწყალე! ღმერთო და წმინ-
და გიორგი, შენ წამიმართე გზა!... მკითხავი

არ დაგავიშუდესო... მართლა“... აქ დათუამ გასწყვიტა ფიქრი... მიიხედ-მოიხედა, თითქმ ეძებს რასმეო; შემდეგ დაებჯინა ჯოხზე, წელ ნელა წამოღვა და, საოფლე მოხდილ ავალშუოფ-სავით, ლახლახრთ გასწრა შინისაკენ.

— დედაკაცო, დაიძახა დათუამ სახლში შესვლის უმალვე, — დედაკაცო ეგები ხვალ ეშმაკე-ულში წახვიდე და აკითხებინ. . ამბობენ — ძან ტყობულობსო. ეგები ეჩვენიც შეიტყოს რამე.

— მე წავალ, ჩემო მალო, უთხრა დედა ჩემთა; სალომეს არა სცალიან: ძუძუ მწოვარი ჰყავს და ე გოგო მარჯასაც გააცივა.

— არა მეთქი, არა!.. დაიყვირო დათუამ .. და ე ჩემი ცოლი წავიდეს.

დედა ჩემიგაჩუმდა; დათუას ცოლმა, სალომეზ, გამოაცხადა. სურჯილი ეშმაკეულში წასვლისა.

— ხვალ მზე ამოვა თუ არა, სთქვა მ.ნ, წავიყვან ნიკოსა და წავალ.

ამის შემდეგ ილაპარაკეს მასზე, თუ რის გაგება სურდათ ამ მკითხაობით; დააწყეს, რო გორ და რა უნდა ეკითხა სალომეს მკითხავისავის. ბოლოს შევკამეთ თითო-ოროლა ლუკმა პური და მივწერ-მოვწერით დასაძინებლად.

VIII

ქორე დღეს სამხრობამდინ ვუცადეთ სალომეს, მ.გრამ კარგა ხუირ ბრნდამდრნ ამაო იყო ჩეუნი მოლოდინი. სალამოზე ყველანი ერთად ვისხედით ბაქში ძარის ქვეშ და, ვვანებ, ყველანი სალომეზე

ვუიქრობდით... ნახირის მოსელის შემდეგ ბევრს
ხანს არ გაუვლია, როდესაც გარედამ ბაკის
კარებისაკენ მოისმა აღამიანის ფეხის ხმა, ჟვე-
ლამ ყურები ვცქვიტეთ... „მოდიან მგონი“,
სთქვა ვიღამაც. მართლაცა და ამ დროს ბაკის
კარებმა გაიჭრიალა და შიგნით ნინიკა და სა-
ლომე შემოვიდნენ. წინაპიროველიც ყველა ჩვენ-
განს გაეხარდა მათი დანახვა, მაგრამ სალომეს
მოწყენილმა სახემ მალე გაპფანტა ეს სიხა-
რული.

— რა ქენი, აღამიანო? სად იყავ აქამდინ?
გაისმა დათუას ხმა სალომეს გამოჩენისთანავე.

— უბედურებასა და ჯანაბაში, მოკლეთ და
ნალვლიანად სთქვა ჯერ ისევ მომავალმა სა-
ლომემ... ამ სიტყვებმა ჩვენ ცივი წყალი გა-
დაგვასხეს თავზე, ცოტა ხ.ნს ჩვენ შორის და-
ურლვეველი სიჩქმე დამყარდა.

— რა მილეთის ხალხი გინდა, რო დღეს
მკითხავთან არ ყოფილიყო, დაიწყო სალო-
მემ — ოსი, იმერელი, სომეხი, ურია, ქართვე-
ლი და ვან იცის, კიდევ ვინა!.. რო მივედით,
მკითხავის სახლი სულ საესე იყო ხალხითა...
ბევრი წავიწიეთ წინა, მაგრამ არავინ გაგვი-
შვა... დავსხედით და დაუწყეთ ცდა; სამხრობის
დროს ძლიეს გვეუველა .. შევედით... ტახტზე
იჯდა ჯერ ისევ ახალგაზდა დედაკაცი, ხელში
ანთებული სანთლები ეჭირა... წინ ედო ერთი
დიდი ხარის თეთრი ბეჭი... ვინც შევიღოდა,
უნდა მივსულიყავით იმასთან, თავი დაგვეჯრა,
მიგვეცა სანთელი და ფული და მერე გვეკით-

ხნა, რისაც გაგება გვინდოდა .. მეც ესე მო-
ვიქეცი... მაგრამ, გენაცვალე, რეები მითხრა,
რეები!..

— რეები, რეები?.. მალე თქვი, ქალო,
ერთი და!.. მიატანა დედა ჩემმა.

— რა რეები, და ჩვენი უბედურებაები!..
განაგრძო სალომებ; ისე დაწვრილებით მითხრა
ჩვენი ოჯახის თავ-გადასავალი, ისე დაწვრი-
ლებით, რო სულ გამავოცა!.. ,თქვენაო, მი-
თხრა მკითხავმა, ამ ათიოდე წლის წინად კა-
რგი შემძლე თჯახიშვილები იყავითო, მაგრამ
მერმე შემოგეხვიათ წყეული ალიო; მოგიკლათ
ჯერ ოჯახის მეუფროსე კაციო, მერე დედა-
კაციო, მერე ახალგაზდა ბიჭიო, გაგრსულელათ
ერთიცაო. მაგრამ არც ამითი დაგჯერდათ
ისაო... შეუჯდა ერთ ვილაცა ურიას, ვისიც
თქვენ რაღაც ფულები გმართებოდათო, შეუ-
ჯდა იმასა, გაახდევინა ათიოდ თუმანი ორმოც-
სამოც თუმნადაო, აჩივლინა მერე და წაგარ
თვათ ვენას ნაფუძარიო ..

— დიდება შენ სიცხოვლესა, დიდო პატი-
ოსანო წმიდაო გიორგი!.. პირჯვერის წერით
და ქერქებში თვალების შეჩერებით გააწყვეტინა
დათუამ ლაპარაკი სალომება.

— მაგრამაო, განაგრძო სალომემ,—თქვენ
მაინც ყურს არ იბერტყავდით.. ასე გეგონათ,
რაკი აღარ გვიყვირის და აღარ გვეჩერება
ალი, ეს არის და ეს მოგვშორდაო; მოგშორ-
დათ კი არა, იმან თქვენ სახლში დაიბუდაო...
დაგისნეულათ ოჯახის მეუფროსე კაციო!..

— ეიპე, ეიპე, რა თვალთმაქცი ყოფილა,
შენი კირიბე, ი დედაკაცი!.., დაიძახა აღელვე-
ბით დათუამ.

— ახლა უნდაო, განაგრძო ისევ სალომემ,
— ბავშვებს და ქალებს მიყოს ხელიო... თქვე-
ნი ხსნა ერთი იმაშილა არასო, რო აიყარნეთ
და საღმე შორს გადასახლდეთო. თუ ესე არა
ქენით, ალი სულ დედა-ბუღიანად მუსრს გაგა-
დენთო.

სალომე გაჩუმდა. დედა ჩემი მკვდარივით
გაყვითლებული იჯდა; დათუას სახეს კი აგრე
რიგად არა ეტყობოდა რა.

- არა გვშორდება ი წყეული? სთქვა დინ-
ჯად დათუამ, მაშ ავლევთ და გადავსახლდეთ!

— რას ამბობ, ჩემო მაზლო, სად უნდა
გადავსახლდეთ? დაიძახა გამწარებით დედა ჩემმა;
ვიღლაცა წუპაკმა, ქვეყნის მატყუარა დედაკაცმა
რო რაღაც სხვისგან გაგონილი ილაპარაკოს,
განა იმიტომ ჩვენ უნდა ავიყარნეთ და ცხრა
მთას იქით გადავცვინდეთ?

— უი, ქალო, ღმერთი იწყენს! წუპაკს რო-
გორ ეუბნები ი ღვთის აღაშიანს! ხო გაიგონე
როგორ დაწვრილებით მითხრა ჩვენი ოჯახის
თავ-გადასავალი? უთხრა წუწუნით სალომემ
დედა ჩემსა.

— ჩვენი თავ-გადასავალი, ჩემო სალომე,
მიუგო დედა ჩემმა,— ეშმაკეულელმა მკითხავ-
მა კი არა, მთელმა ამ მხარემ შეიტყო ქალა-
ქის პირიდამაც კი მოდიოდნენ და გვეკითხ-

ბოდნენ ხოლმე ალზედა! მკითხავიც გაიგონეა
ბდა და ისე გეტყოდა ყველაფერს!

— ჩემი რძალო,—დაიწყო დათუა!,—ერ-
თი ყური დამიგდე აქეთ!.. მკითხავს ბევრი მა-
რთალი უთქვამს. თუ მართლა კიდევ ალი არ
იყვეს ჩვენზე შემომწგარი, მა რა არი ჩვენი
ოჯახის სულ ასე უკულმართად წასვლა!.. მა-
მული წაგვართვეს, საქონელი თითქმის სულ
გაგვიწყდა, მე დავსნეულდი, ე ბავშვები სულ
ავად არიან; მა რა არი ესა? ახლა ისიც უნდა
ვთქვათ, რომ მამული აღარა გვაქვს ჩვენა.
ჩვენი ოჯახი თუ ერთხელ ოჯახი იყო, იყო
იმით, რო თხი ძმანი ვიყავით, ვიღებდით
სხვის მამულს სილალოდ და ამითი სარჩოს ვი-
ძენდით! ჩვენ რა მამული გვქონდა?— ერთი
ვენახი, ორი ნაფუძარი, ერთი მინდვრის მიწა
და ე სახლ კარის ალაგრ. . სხვა ხო არაფერი?
ვენახი და ერთი კაი ნაფუძარი წაგვართვეს!
რაღა შავი ქვა დაგვრჩია? ლმერთია შენი თავ-
დები, ე ჩინიკა რო არ იყვეს სულ შიმში-
ლით დავიხოცებოდით! ავდევთ, გადავსახლ-
დეთ სალმე; მოგშორდეთ ამ დაწყევლილ ალაგ-
საც და ეგება მამულ დედულიც ვიშოვნოთ
რამე.

— უნდა, უნდა გადაესახლდეთ სალმე, თო-
რემ, წმინდა გ თრგის მაღლმა, ე ბავშვები
სულ გაგვეულიტება, სთქვა სალომემ.

- სადა, ადამიანო, სადა, სად უნდა გადა-
ესახლდეთ?! კან გიურ გადმოგვიყრის მამულს?!
დაიძახა დედა ჩემმა.

— სადა და ყარაიაზე! მოკლეთ მიუგო და-
თუამ.

— უი, გენაცვალე! დღეეანდელი დღე მკი-
თხავის ბაქში სუ მა ყარაიაზე ლაპარაკობდნენ.
აქებდნენ, ისეთი აქებდნენ, რო ჰა! ცოტა
ცხელაო, მაგრამ რა უშავს! მოსავალი თურმე
ზღვათა სკდება, ზღვათა! თითონ მკითხავი ყო-
ფილა როდისლაც იქა... არც აგრე რიგად
შორს არისო.!. მკითხევმა თქვა: ორი დღე
კიდეც მოხვალ და კიდეც მოხვალო!.. სთქა
სხაპა. სხუპით სალომემ.

— მოსავლიანი ალაგი ძაან არი, დაიწყო
დათუამ; — თუმცა ორი დღე კი არა — თოხი
დღე მოუნდება მარტო იქამდინ მისელასა!..
ხელმწიფებს სულ მოუმზადებია ყველაფერი: სა-
ხლი, კარი — მიდი და დასახლდი. მაშანვე უუ-
რამ მშვენიერ მიწებს დაგიზომავენ და მოვ-
ცუწენ... მაგრამ ყველაზე კარგი ის არი, რო
ხარჯისა და ბეგარისაგან განთავისუფლებული
იქნები... ამბობენ: იქ არც სუდია-მამასახლი-
სობა იქნებაო!..

— ვინ გიოხრა ყველა ეგა? ვინ იცის, მა-
რთალია ეგა თუ არა? უკმაყოფილოდ დარ-
კითხა დედა ჩემი.

— ახირებული დედაკაცი ხარ, მე და ჩემშა
ლმერთმა, შესხახა გაჯავრებით დათუამ: რა
კინ მითხრა, შეილოსან! ყურები არ მასხია თუ?
ეს ერთი წელიწადია, რაც მთელი დუნია მა
გაზე ლაპარაკობს. ის ხეპრეთიდამ, ე გაზაფხუ-

ლის დამდეგს, კიდევ წასულა იქ ორიოდ სა-
მი სახლობა და..

— გადავსახლდეთ, გენაცვალე, გადავსა-
ხლდეთ ჩვენც იქა! მხიარულად დაიძახა სა-
ლომებ.

— არა, გენაცვალე, სთქვა დედა ჩემმა, მე
ექედამ ფეხსაც არ მოვიცვლი.

ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს ილაპარაკეს
ამავე საგანზე... დათუას უნდოდა, რომ მე და
დედა ჩემიც თან წავყოლოდეთ; დედა ჩემი
იღგა უარჩედ. ბოლოს დადგნენ შემდეგ გა-
დაწყვეტილებას: დათუა თავის ცოლ-შვილით
და ნინიკათი შემოდგომაზე ზამთრის საგძლიოთ
უნდა გაუდგეს ყარაიის გზას... ორი კაშეჩის
საყიდლათ და სამგზავრო ფულის საშოგნელად
გაჟყიდონ ნაფუძარი... მე და დედა ჩემი უნდა
დაგრჩეთ ჩვენ სოფელშივე... მინდვრის მიწა
და კარ-მაღამო გვარგუნეს ჩვენ...

IX

 ემოდგომაზე ეს გარდაწყვეტილება მა
რთლა სისრულეში მოიყვანა ჩვენმა
უიმისოდაც დაძაბუნებულმა ოჯახმი.
ზეარია დიაკვანმა სწორედ ნახევარ
ფასად დასტუუა დათუას ნაფუძარი. ამ ფულით
დათუამ ორი კაშეჩი იყიდა; მიუერთა მთ ორი
შინაური ხარიც; შეაბა ურები, ჩასხა შიგ ცო-
ლი და შვილი თავიანთ რავდენისამე თვის სა-
გძლიოთ და შემოდგომის ერთ გრილ დღეს და-
ადგა ქალაქის გზას. მე და დედა ჩემი და-

ვრჩით მარტოკანი. აზნაურა დიაკვანი ბევრი ეცადა, რომ ჩვენც მათ თან გავეყოლებინეთ: ხან დაყვავება, ხანაც ჯავრობა. ერთ დღეს მეზობლური, „ნათელ-მირონული“, დარიგება, მეორე დღეს მტრული მუქარა; უკელა ესენი თვითეულად იხმარა აზნაურამ — ჯერ თვითონ და მერე თავისი კუდების მოგზავნით, მაგრამ დედა ჩემი მაინც ერთსა და იმავეს ადგა და გაიძახოდა: „მე ჩემის ცოცხალის თავით ამ არე-მარეს არ მოჰშოდებიო“. მართლაც არ მოშორდა. დათუა წავიდა; დავრჩით ჩვენ, დედა შვილნი. დედაჩემმა ხელონაწერის წერა-კითხვა კარგად იკოდა; ამასთანავე საკერავითაც განთქმული იყო ჩვენს სოფელში. შეაგროვა სოფლელი გოგო-ბიჭები და წელიწადში თითო-ოროლ ჩანას პურად დაუწყო მათ თვისი მცირეოდენი ცოდნის გარდაცემა... მეც მენახირობას ვაპირებდი. ვცხოვრობდით ტკბილად, ჩუმად და მოსვენებით. მაგრამ დიღხანს არ გაგრძელდა ჩვენი ესეთი ყოფა!..

ერთს ღამეს, გათენებისას, უცებ ვიღამაც ასტეხა ჩვენი კარების ერთი საშინელს კაკა-კუკი. წამოვცვინდით ფეხზე.

— ვინა ხარ, ვინ? დავუძახეთ შინიდამ.

კაკუნი შესწყდა, მაგრამ ხმა არავინ არ გაგვა.

ჩავწერით ისევ ლოგინში და როგორც ჩაგვთვლიმა, ასტყდა ხელ ახლად ჩვენი კარების ბრახაბრუხი. წამოვცვივდით ისევ ფეხზე; და

უყვირეთ... კაკუნი შესწყდა, პასუხი კი არა-
ვინ მოგვცა.

— მოდი, გავალოთ კარები და გავიდეთ
კარჩე!.. ვეთხარი დედა ჩემს. ის დათანხმდა.
მე ცულს, დედა ჩემმა კეტს წამოვავლეთ ხელი
და გავწიეთ კარებისაკენ. როდესაც კარებს
ღება დავუწყეთ, შემოგვესვა ადამიანის ჩქარი
ფეხის ხმა... გავალეთ კარები; დავინახეთ — ვი-
ლაც, კარგა დიდი კაცი, ავარდა ბაკის ღობეზე,
გადახტა იქით და დაეშვა სოფლისაკენ.

— ნეტა, ვინ არის, რა არის ეგა? ვკითხე
დედა ჩემს, როდესაც ისევ ლოგინში ჩავჭერით.

— ეგ თუ არი, შვილო, — მითხრა დედამ,
— ი სულ აყევებული დიაკვანია.

ამ შემთხვევამ ცუდად აგვირია თავზე ბა-
ლნი. მეორე დღეს მთელმა სოფელმა იცოდა
ჩენი შემთხვევა. გავარდა ხმა, რომ არაშენ-
დაანთ ალი კიდევ მისქრომიათო. გაჩნდა ჩევუ-
ლებრივი ჭორიკანბა. უბედურება იმაში
მდგომარეობდა, რომ ამ ჭორებს ცოტაოდენი
რამ საფუძველი ჰქონდათ. მთელი ერთი კვირა
ყოველ შუალამისას ჩენს კარებს და შემდეგ
ერდოს არა ჰქონდა მოსვენება. ეს კიდევ არა-
ფერი! ზაქარია დიაკვანმა იწყო გამოაშეკარებით
ჩენი ლანძლეა, მტრობა და ხანდისხან იქამდინ
მიდიოდა მისი საძაგლობა, რომ ხმა-მაღლა
იტყოდა ხოლმე ხალხში: მივუგზავნი ერთ ორი-
ოდ ოსს და მა ჯიუტი დედაკაცის თვალ-წინვე
დავაკვლევინებ იმის შვილსაო. ეს ჩუმად გარ-
ღმოგვცეს მეზობლებმა და გვირჩიეს ფრთხი-

ლად ყოფნა. სხვაც ბევრი რამ გავიგეთ, მაგან რამ რას ვიზამდით? თავის დღეში უბატონო ჩვენ სოფელს, დღეს ეს კუდააზნაურა გაუხდა ბატონად. სოფელში კაცი არ იყო, რომ მის წინააღმდეგ გაებედნა რაძე: ყველანი მას ფეხშე უძვრებოლნენ. აბა, ერთს ქვრივ დედაკაცს რა უნდა ექნა მაისთანა თავ გასული კაცისათვინ? დედა ჩემი შეშინდა.

— უნდა რამე მოვახერხოთ, მოთხრა მან ერთ დღეს, თორემ ეგ თვალ-სისხლიანი კაცი რასმე ხიფათს შეგვამთხვევეს!..

— აბა რა მოვახერხოთ, ჩემო დედა, მივუგე... დათუასთან წევიდეთ თუ?

— არა, წველო | დათუასთან კი არა, ამ სახლს მოვშორდეთ. შენ ბიძა ჩემთან გაგგზავნი; მე ე ჩემ ნათლი მამა თევდორესთან გადავალ. . მე აქ უნდა დავრჩე, თორემ ეგ ბოროტი კაცი იზამს რა! მე... დაიქცეს ეხლანდელი კანონები!.. თუ სამიოდ თვე თითონ იხმარა რამე ჩვენი მამული, მერე სულ დაიჩემებს და დაგვყრის ლვოის ანაბარას!..

მე დედი ჩემის ბიძები ჭლიერ მიყვარულნენ; ამისათვის მათთან წასკლის იმედმა საშინალდ გამახარა... გახარებულმა, წამოვედი, და თითქმის ყველა ჩემ ტოლ ბიჭებს გარდავეც პიზეზი ამ სიხარულისა .. მალე მთელმა სოფელმა შეიტყო თუ რას აპირობდა დედა ჩემი. მაგრამ ეს განზრახვა განზრახვათვი დარჩა... ჩვენდა სასიხარულოდ, შესწყდა ჩვენი კარების ბრახა-ბრუხი... გავიდა კვირა, თვე... ლამჟ ხმა არა-

ვისი არ გვესმოდა... აზნაურაც თითქმი დაგვი-
ტკია. დედა ჩემი წრნაპირველად გაკვირვებუ-
ლი იყო ამ ამბით: „სიჩუმილამ ის რალაც ვაი-
ვაგლახს მოელოდა; მაგრამ რა კი კვირა, თვე
გავიდა და ჩვენს მყუდროებას აღრავინ არ-
ლვევდა, დედა ჩემიც დამშვიდდა, ძველებურად
გამხიარულდა. ჩვენმა ცხოვრებამ გასწია ისევ
ტკბრლად, თანასწორად.

ამ დროს ერთი ქალაქელი დურგალი თვი
სი ცოლ-შვილით ჩვენ სოფელში სალოცავად
მოდიოდა. ერთ სალამოს საყდრის კარებზე და
მინახა ამ დურგალმა და სოქვა: „იფსუსი არ
არის, რომ ემისთვის ბიჭი ექ სოფელში ტყურ-
ლად იჯდეს და რამე ხელობას არა სწავლო-
ბდესო?..“ ეს სიტყვები დედა ჩემს გარდა-
ვეცი... მას ძლიერ გაეხარდა.

— იქნება, შვილო, თითონ იმანვე აგიყვა-
ნოს შეგირდათა? მითხრა დედა ჩემმა.

— იქნება! . აბა წავიდეთ და ვთხოვოთ!..
მივუგე მე.

მართლა წავედით .. ახალი ლობიო, კიტ
რები და კიდევ რალაქებიც მივართვით და
ვთხოვეთ დურგალს ჩემი აყვანა თვის შეგრ-
დად... დურგალს გაეხარდა, ამიყვანა .. და
იმავე დღედამ თვის შეგირდს მეძახოდა. ამის
შემდეგ ორი დღე კიდევ დარჩა ის ჩვენს სო-
ფელში... ამ დღეების განმეობაში, რო
გორც შეეძლო, მომარზადა დედა ჩემმა და რო-
დესაც დურკალი დაადგა ქალაქის გზას, გა-
მოვეთხოვე დედას და დურგლის ურემს გავ-

ყევი მეცა. გავყევი, მაგრამ ცრემლით სავსე
თვალები კი სულ დედიჩემისაკენ მრჩებოდა.
გულმა თითქო მაშინვე მიგრძნო, რომ ჩემ სა-
ყვარელ, საცოდავ, დატანჯულ დედას იმ დღეს
სამუდამოდ ვეთხოვებოდი.

Х

 რი წელიწადი ვიკეოვრე დურგალთან
ისე, რომ ჩვენს შოთელში არ მივბრუ-
ნებულვარ. ამ დროს განმავლობაში
დედი ჩემისაგან მალ-მალე მამდიოდა
წერილები. ის თვის თავზე სულ ერთსა და იმა-
ვესა მწერდა: „აზნაურა ჩამომეკიდა, ალარ
მისვენებსო, საცა დამინახავე!, უშეერის პირითა
მლანძლავს, იმის შიშით მეზობლები პურის
სასესხებლად ვეღარ მოსულან ჩემთანაო და
სხვ.“ უკანასკნელ თვის წერილშიაც ამავესა
მწერდა. გავიდა ორი თუ სამი თვე ამ უკანა-
სკნელი წერილის შემდეგ და დედი ჩემის წე-
რილი აღარ მიმილია. მეორხე თვეს დავეთხოვე
ოსტატს და გავწიე ჩვენი სოფლისაკენ. კარგა
ხშირ ბინდი იყო დედა მიწაზე დაცემული, რო-
დესაც ჩემს თვალ-წინ და ფეხ ქვეშ გაიშალა
ჩვენი სოფლის ვეო მინდორი, ჭალა, ადგილ-
მამული; ის ალაგები, სადაც, ლვთის ამარაზე
მიგდებულს სოფლის ბიჭს, იმავე თავობითვე
დევნულს ათას გვარ ოჯახურ და სოფლურ
სამწუხარო და უბედურ გარემოებათაგან, მე
გამეტარებინა ჩემი სიუმაწვილე! გულმა მიწყო
სხვა-და-სხვა ნაირად ცემა სასიამოვნო და მწა-

რე ფიქრები გროვ გროვად დგებოდნენ ჩემ
თავში და რალაცა გაცხარებულის სისწრაფით
მიერეკებოდნენ ერთი-ერთმანეთს. რამდენსამე
წამს ჩემს თვალ წინ მთელმა ჩემმა სიყმაწვილემ
გაირბინა. აი ჩევნი მუდამ ტალახიანი, ვაწრო, უ
მაგრამ ჩემი საყვარელი ორლობე?.. გემარჯვება,
გამარჯვება თავენ, ჩემო დაუვიწყარო ტყეძლე-
ბო, ქვებო, ღობებო, ჩიტებო და ჩიტის ბუ-
დებო!! ვესალმებოდი ამ გვარად ჩევნს ორ-
ლობეს და ნელ-ნელა მივდიოდი მის ჩრდილი-
საგან უფრო დაბნელებულ გზაზე!.. გვედი
ორლობიდამ: დავინახე ჩევნი ძველი ნახელა
რი!.. ეხლა აქ ნასახლარობაც აღარ ეტყობო-
და: ეს ალაგი ზაქარია დიაკვანს მიემატა თა
ვის ბაგრასთვინ და ამ ნაირად სამ კუნჭულიან
უშნო ვენახისთვინ გამოება მეოთხე კუნჭუ-
ლიც. აუარე ამას გვერდზე და გავშიე პირდა-
პირ ჩევნი სახლისაკენ.. მივდიოდი და ვიდგე-
ნდი ცუცხლო პირას შჯდიმიარე და ნელ ნელა
წინდის შქსოვ დედა ჩემს!. აი, ის გაჩუმებული
ზის კერასთან, ქსოვს წინდასა და თანაც რალა-
ზედაც ჯავრიანად ზუზუნებს... აი, შევალე კა-
რები: დედა ჩემმა გაიგონა კარების ქრიალი.
მაგრამ სახლში შესულს კი ჯერ იერ ხედავს ..
,,ვინა ხარ?.. გოგო, კატუა შენარ იძახის დედა
ჩემი... მე ხმას არ ვილებ, მივდივარ და უცებ
თავზე კი წავადექი ჩემ ტკბილს, ძვირფას დე-
დიკოს... ,,უი, შენ შემოგევლე, შვილო იძა-
ხის დედა ჩემი და ბარბაცით მორბის ჩემსკენ.
ვიდგენდი ჟველა ამას და მივდიოდი შინისაკენ.

აი ჩვენი ბაკიც! .. აგერ სახლის კარებიც... მა-
გრა ეს რა არევ-დარეულია აქაურობა... თი-
თქო დედა ჩემს სუფთაობა და რიგი უყვარდა!
კარები? კარები მაგრა დაკეტილი. აქ რაღაც
იქვნეულებამ გაირბინა თავში... გულმა თით-
ქო სრულებით ჩემს უნებურად მიწყო კვნესა
და დრო გამოშვებათი ფარცქალი. უკებ ცრე-
მლები ამერია თვალებში „არა, რას ვტორი?
ვუთხარი დაცინვით ჩემს თავს,— ალბად დედა-
ჩემი აქ მეზობლისას იქნება ვისთანმე!..“ ვსტევი
ეს და გავწიე ახლო შეზობლის სახლისაკენ,
შევედი ბაკში... ჩემა წინ გამოჩნდა ჯოხზე
დაბჯენილი და ნელ ნელა კარზე მოავალი
მოხუცებული თალია. მან სიბერისა გამო ვერ
მიცნო წინაპიროველიდ.

— ვინა ხარ შვილო, შენა? დამეკითხა ის.

— ველარ მიცანი, დიდ დედა? ვუპასუხე
მე,— მე არა შენდაანთ სიმონა ვარ.

— იო, შენ კი გენაცვალე, შვილო, დაი-
ძხა მწუხარე ხმით მოხუცებულმა... დამიღეს
მე თვალები!.. მე კი ქვეწნად უნდა დავწო-
წვდე და შენი კარგი დედა კი მიწაში იღვეს!..
დაიქცეს, სიკვდილო, შენი სამართალი!.. თა-
ლიამ გააბა მოთქმა. ამ ხშაზე გამოცვიდნენ
სახლიდამ თალიას შვილები და რძლები და
ორთავენი შეგვიყვანეს შინა. მე ქვასავით
გავშეშლი: ვვრძნობდი, რომ ჩემს თავს რაღაც
დიდი უბედურება იყო, მაგრამ რა? ამ დროს
ვერ წარმომედგინა. არც ტირილი, არც კვნე-
სა.. ვიდექ ენა ჩავაზინილი და გიუივით ვიც-

ქირებოდი თურმე აქეთ-იქით. გაიარა ლაშემ. იეორე დღეს მოვისაზრე ჩემი აწმუო მდგოძარეობა და დავიწყე გამოკითხვა დედი ჩემის უბედურების შესახებ; მინდოდა გამეგო — რა იყო მისი სიკვდილის მიზეზი... მომეტებული იძახოდა — ალიო. ზოგიერთები კი მეუბნებოდნენ: დედა შენი ზაქარია დიაკვანმა მოსწამლაო!..

— დათუას ამბავი ხომ არა იცით რა? ვკითხე ერთს ჩვენს ნათესავს.

— როგორ არა, მომიგო მან; ლაშის უბედურათ გადაიაროს იმ კაცშა აქედამ რომ ჩაუსულიყვნენ, არაფერი არა დახვედროდათ რჩიქა... ედოს იმისი ცოდო ჩვენ ზაქარია დიაკვანსა... რაღაც ქოხმარში გაეტარებინათ მთელი ზამთარი... გაზაფხულზე გაშხდარიყო ავალ დათუა და ვეღარც აეხწია!.. ორი კვირის შემდეგ გარდაცვლილიყო... ორი, პატარა ბავშვი ისევ შამაზე უწინ დახოცილიყვნენ... დასცადა ჰავამა. თურმე .. ერთ კახელ თავადიშვილს ენახა ი საცოდავები, შებრალებოდა და თავისთან წაესხა. ეხლა თურმე. ნინიკა მოჯამა გირედ უდგია იმ თავადიშვილს, სულომე პური მუხობლად... ორი უფროში ბიჭები კი იქიდამ გამოქცეულიყვნენ და ქალაქში: ჩამოსულიყვნენ... ჩვენებიაანთ გიგოლაშა სითქვა: ქალაქში პყრიან და „რაზმონიკობით“ ორჩენენ თავსთო!..

2 2

2 2 2

24

2

2

2

2

89